

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუსა ქართველი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 61

2020



მთ. რედაქტორი

ზაურ (ორბეგი) ბერიძე

მფრინავი, მწერალი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცხალსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-868-7 (61 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიმყენ ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჭავაცხალასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბაღლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ძვევნის ბასაბონად ხბამაბაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმირილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონიდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვევნის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვევნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

პოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიალი,
ჯემბერ ლექავას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„ბულტივად შესგრი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

ჭირასიფენარბის მაბიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელი გაზაფხულის სიყვარულს ამ-
კვიდრებს. იმედისა და ოწმენის დიადი გრძნობით
ქმნის ქართული პოეზიის უძვირფასეს ქმნილებებს,
სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ ის მზედ იჩახ-
ჩახებს ქართულ პოეზიაში. რამეთუ:

*

„ოვით უკვდავება,
სიტყვის გარდა
არაფერშია,
მადლობა უფალს!
რადგან მოხვედი,
სიხარულის და იდუმალი
ცეცხლის მფრქვეველი.
მე ადარ მინდა არც სამოთხე,
არც ჯოჯოხეთი,
მსურს ლექსში ვპოვო
საუკუნო სასუფეველი“.



და უნებურად მასესენდება ბორხესის ჩანაწერი:

„როგორ შეუძლიათ მოკვდნენ ქალი, კაცი ან ბავშვი, თუ ყოველ მათგანში ამდენი გაზაფხულები და ფოთლები, ამდენი წიგნები და ფრინველები, ამდენი აისები და დაისებია.... სიკვდილში ისე უნდა შეხვიდე, როგორც დღესასწაულში“-ო.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად დიდი პოეტია, მისი პოეზია, ბროწეულის ცეცხლითაა აბრდლვიალებული, წაიკითხეთ, დაიზეპირეთ და ღმერთისა და სიყვარულის არსებობაში დარწმუნდებით, რამეთუ პოეტის ყოველი ლექსი დიდი საოცრებაა, ღმერთის კალთაში დაბადებული ულამაზესი გამოცანა.

ეს სიტყვები ჭეშმარიტად მიესადაგება დიდ პოეტს ვაჟა ეგრისელს, რომელიც მკითხველსაც უყვარს და ღმერთსაც:

„მიწის ხელებით მძერწა უფალმა,

მაგრამ ცაზე კი,

ფიქრი მაინც ვერ მოვიშორე —

სადაც სიყვარულს ცეცხლის დისკოდ ისევ კიდებს მზე,

ერთი ვარსკვლავი უსაშველოდ

წუხს ცის კიდეზე,

თვალს მიკრავს — მოდი!

და აწვალებს ჩემი სიშორე“.



და მაინც, საოცარია პოეტის ხედვა, საგნებისა და მოვლენების მისეული აღქმა. წარმოსახვის უნარი და მასშტაბურობა. მისი პოეზია, მისი, როგორც პოეტის არსებობის სასწაულია, რომლის რწმენაში ქრისტიანული სჯულის უტყუარი არსი იხატება.

მთვარის ჩასვლა და ამოსვლა სამყაროს ჩვეულებრივი რიტუალია და ჩვეულებრივი ადამიანიც გულგრილად აღიქვამს ამ პროცესს, და რა დასანანია, რომ ერთხელ მოსული ასე ცოტა შთაბეჭდილებებით მიდის ამ ქვეყნიდან და რომ არა ღმერთთან და ჰეშმარიტად მაღალ მუზებთან ნაზიარები შემოქმედები ჩვენი ცხოვრება უშინაარსო და გაუსაძლისი გახდებოდა. სხვა მნათობთა შორის დიდი ვაჟა ეგრისელი ელვარე ნიჭითა და მგზებარე პოეტური ენერგიით გვაზიარებს ამ აღმსარებლობას და რა ბედნიერები ვართ ჩვენ, ქართველები, რომ ის ჩვენ გვევავს...

მჯერა და მწამს კოსმიური ჭვრეტით საკუთარ სულზე ამაღლებული ვაჟა ეგრისელის პოეტური ქმნილებები მარადისობაში პპოვებენ თავშესაფარს რამეთუ დადგი დრო: „მწუხარში დამეძებს სიხარულის თვალი მოხერებე და მოწყალებით ღმერთო მოხედე, ქართველ მიწაზე დაება ჩემი ხმის განთიადი“.

დაქ, კუტსულოვანმა მოშურნეებმა ხელი ვერ დააკარონ პოეტის კარ-მიდამოში გადამალულ ძვირფას საგანძურს!



ვაჟა ეგრისელის ვარსკვლავების კამარით გადა-
ხურული ბროწეულების ცეცხლებითა და ატმის ყვა-
ვილების ხანძრით აბრდდვიალებული კარ-მიდამო
ჩვენი ხვალინდელი, შუბლგახსნილი, აღორძინებული
და გამთლიანებული საქართველო.

„მაშ, იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმე-
ნინ საქართველო“!

ამინ!

კვლავ ლოცვად დგას სოსუმი და გამრა...

ვაჟა ეგრისელმა ქართული პოეზიის თვალშეუდ-
გამი მწვერვალები დალაშქრა, საიდანაც ეროვნული
და საკაცობრიო პრობლემები ხელისგულივით ჩანს
და საიდანაც თავად ქართული პოეზია ჩვენთვისაც
და მსოფლიოს სხვა ხალხებისთვისაც მთელი თავი-
სი ბრწყინვალებით წარმოჩინდება. ვაჟა ეგრისელის
„იქმენ ნათელი“ და „კოლხური ფსალმუნების“ 1000-
1000 გვერდიანი ხუთტომეული ქართული პოეზიის
თვისებრივად ახალი სამყაროს და ახალი ეტაპის მი-
მანიშნებელია. პოეტის მთელი შემოქმედება ქარ-
თულ-ეროვნული მწერლობის აზროვნების კულტუ-
რის უძველეს და უმდიდრეს ტრადიციებს ემყარება
და მსოფლიო გამოცდილებითაც იკვებება.

ვაჟა ეგრისელის „სოფიის კენჭებივით ელვარე
მინიატურული ლექსები ქმნიან იმ მომხიბვლელ მო-



ზაიკურ პანოს, რომელსაც ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეზია ეწოდება“.

მისი ლექსები ერთდროულად უადრესად ეროვნულიც არის და საზოგადოც, ერთი მხრივ მთლიანად ქართულ სამყაროზეა დამყნილი, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და მეორე მხრივ, საკაცობრიო საოქმელსა და სატკივარს გამოხატავს. მარად თავსატებ პრობლემებზე გვაფიქრებს, მისი ჰუმანისტური პათოსი ქართულიც არის და ზოგადადმიანურიც.

„იქმენ ნათელსა“ და „კოლხურ ფსალმუნებში“ ყოფითი ფერადოვნებაც და ფილოსოფიური აბსტრაგირებაც ერთ მთლიან მხატვრულ ქსოვილშია ჩაგვირისტებული და უერთმანეთოდ არ არსებობს, მათი გათიშვა, განცალკევება შეუძლებელია, ყოველ სახეს თუ ფრაზას რამდენიმე განხომილება აქვს, რეალური თუ სიმბოლური, ისტორიული თუ მითოსური.

„მისი მინიატურული ტიპის ლირიკული ნიმუშები განაპირობებენ პოეტის აზროვნების წესს, მის სააზროვნო პრაქტიკას. ეს ფორმა არა მხოლოდ თვითმყოფადი სტილია ავტორისათვის, არამედ მისი სტიქიაა. ამგვარი თხზულებების გარეშე ვერც წარმოგვიდგნია მისი შემოქმედება“.

ვაჟა ეგრისელის ლექსების მხატვრულ სამყაროში მთავარი მხოლოდ ხილულის დანახვა კი არ არის, არამედ უხილავის წვდომაც, ლექსის არქიტექ-



ტონიკა მარტო მიწისზედა ნაგებობას კი არ გულისხმობს, არამედ იმ ღრმად ჩაფლულ საძირკველსაც, რომელსაც ეფუძნება იგი.

ვაჟა ეგრისელის პოეტურ სამყაროში მთავარი სწორედ ის თითქოს უხილავი, ხორცშეუსხმელი, მაგრამ მაინც ხილული და თვალშისაცემი ეპოქის სულია. პოეტური გამოცდილება უმთავრესად აქ, ან ამგარ შრეებში მქდავნდება და არა მხოლოდ მეტაფორულად აზროვნებაში, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს ადამიანის თავისუფლებისადმი, სიკეთისადმი ნათელ მისწრაფებასა და მის დამთრგუნველ ბოროტ ძალას შორის მუდმივ ბრძოლაში.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დრო თავისი სამივე განზომილებით შემოდის და მოქმედებს — წარსული, აწმყო და მომავალი. იგი მთლიანია და განუყოფელი. ასეთნაირად არის გააზრებული არა მარტო საერთოდ ადამიანისა თუ ერის ბედი, თვით ლირიკული პერსონაჟის ხვედრიც, რომელიც ამ პოეზიაში მოქმედებს, მისი ლირიკული გმირი ამგარ გამთლიანებულ დროში ცხოვრობს, ამგვარი გაიდიალებული დროითაა დადგასმული.

რა მართებულად ბრძანებს მწერალი ალექსანდრე სიგუა: „...ეგრისელის ლექსებში სიყვარულით და საონოებით შემოსილი ჭეშმარიტი პოეზია სუნთქვას... ყოველ სტრიქონში მისი ღვთაებრივი სულია ჩაკირული და ისმის მისი გულის ძალუმი ფეთქვა,



რომელმაც ანატოლ ფრანსის სიტყვები მომაგონა:
„მე დღევანდელი დღისთვის, ლუგმა პურისთვის კი
არ ვწერ, არამედ საუკუნეებისთვის“.

დიახ, დროში შეზღუდული მარადისობა და მა-
რადისობაში განვენილი დრო ერთნაირი სიდიადით
სუნთქვები ჭეშმარიტი დიდოსტატის ვაჟა ეგრისელის
შემოქმედებაში და ასეთივე დიდებულებით ხაზს უს-
ვამენ მისი ავტორის ერთდადერთობას.

ბატონი ვაჟა ეგრისელის არაჩვეულებრივი ენერ-
გიისა და შესაშური შრომისმოყვარეობის, ჰუმანურო-
ბისა და საოცრად კეთილი გულის ანარეკლები: „სი-
ცოცხლე“, „ამაღლება“, „ნათელ ხილვა“, „საგალობე-
ლი“, „იასამნების ლურჯი გაღლობა“, „შეიძ მახვილი“,
ორიათასამდე ლექსის დამტევი „იქმენ ნათელი“,
ათიათასამდე ლექსის დამბინადრებელი წიგნი კიდო-
ბანი — „კოლხური ფსალმუნები“ გვარწმუნებს, რომ
„დის პოეზია ნაკადულებად, ჩანჩქერებად და მდინა-
რეებად“. და რა საოცრარი შთამბეჭდავი და საგანგე-
ბო პოეტური მიგნებითაა პერსონიფიცირებული სამ-
შობლოს ისტორია, მისი წარსული, აწყმყო და მომა-
ვალი:

„რკინის მკვნეტავ და საცრისთვალება —
ჩვენ დიდ წინაპარს თავზე მუმლივით
ეხვია მტერი - ავი, ურჯულო!
მოკვდა და...“



მიწის ცივ სიჩუმეშიც —
ხელში ფარ-ხმალი აქვს ჩაბდუჯული.“

...ძლიერი ტკივილით არის განცდილი ის მსხვერპლი, რის ფასადაც ჩვენმა წინაპრებმა გადაგვირჩინეს სამშობლო, მატერიალური კულტურა, მიწადქცეულ ნანგრევებს ნათლად ატყვია წინაპართა თავგანწირვა, შრომისმოყვარეობა და სურვილი, უკვალოდ არ დაკარგულიყო მათი შფოთვა, წუხილი, ტკივილი და ბოლოს სიცოცხლეც.

„პოეტში იმდენად მოზღვავებულია სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, რომ იგი ყოველ კუთხე-ე-უნჭულს ეთაყვანება საქართველოში, მისი ყურადღების გარეშე არ რჩება ოუნდაც ზღვის უმცირესი კენჭი. ვაჟა ეგრისელის პოეზია ზღვასავით ბობოქარია და ოკეანესავით სივრცე-სიგანეზე გადაჭიმული. ზოგიერთი მისი ნაწარმოები რეალისტ სალვადორ დალის ცეცხლმოკიდებულ „ირაფს“ და მის სხვა ფიქრმიუწვდომელ ფერწერულ ქმნილებებს გვაგონებს.“

ვაჟა ეგრისელის პოეზია ესაა ეროვნული ყოფის, ხასიათისა და მაღალი ზნეობის ნიშანსვეტი. პოეტი ოვაისი შინაგანი მოწოდებით ჩავიდა ეროვნული ისტორიის უდრმეს ფენებში და მარად ცოცხალ ფესვებთან მხატვრული ძალმოსილების იდუმალ ენერგიას გვაზიარებს, რომელიც თვითნებურად მკვიდრდება ჩვენში, როგორც ახლებური ხედვის



ხელშესახები პულსაცია, „და შენი ტრფობა — შიგ
გულში მჭირს ჩემო მამულო! არ ვიცი როგორ გადა-
გირჩები“ — ყოველივე ეს ჭეშმარიტი დიდოსტატის
უფაქიზეს სულზე მეტყველებს, რომელმაც ეს სიყვა-
რული დიდი და ლამაზი წარსულის საფასურად მიი-
ღო და ახლა, როცა დადგა დრო, ყველაფერზე პი-
რულვნელი, მიუკერძოებელი მსჯელობისა, როცა შე-
საძლებლობა მოგვეცა ზუსტად ვთქვათ ის, რასაც
ვფიქრობთ, ჩემი ღრმა რწმენით ვაჟა ეგრისელი თა-
ნამედროვე ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთი გა-
მორჩეული კოლორიტული ფიგურაა, რომელიც ეძებს
გზებს ქვეყნის გადარჩენისთვის.

აფხაზეთის ტრაგედია, პოეტის პირადი ტრაგე-
დია. მძაფრად განიცდის ყოველ მოვლენას, რაც
ქვეყანაში ხდება, ტკივა ორად გახლებილი საქარ-
თველო, საშინელი გულისტკივილით აღიქვამს და-
ლატს, გაუტანლობას, ზურგში მახვილის ჩაცემას...

სოხუმის დაცემის შემდეგ, ერთ-ერთ აფხაზს ია-
კობ გოგებაშვილის „დედაენა“ დაუღეჭია, თურმე:
მხოლოდ ასე შემიძლია გამოვხატო ზიზდი ქართვე-
ლების მიმართ-ო!. ამ ზიზდს პატიება არ ძალუძს
პოეტს, ის პირულვნელი მემატიანეა ჩვენი დღევანდუ-
ლობისა:

„ძაძები ჩაიცვეს
შაგი ზღვის ტალღებმა,



ჯერ კოლხებს არ ახსოვთ
სისხლისღვრა ასეთი.
ქართლის ცის ლაჟვარდი
მიგართვით არზებად
და მაინც ზღვისკარად
გაზრდილი აფხაზეთი —
თვითონვე მოგვიკლეს
აფხაზებმა“.

დიახ, „ბევრი მწარე დღე ახსოვს საქართველოს,
ახსოვს, თუ როგორ აოხრებდნენ არაბები, მონდოლები,
სპარსელები, თურქები, ჩვენს ქვეყანას ახსოვს
მტარვალები, ქართველთა მოსისხლე მტრები — მურ-
ვან ყრუ, ბუდა თურქი, თემურ ლენგი, შაჰ-აბასი,
აღა-მაჰმად-ხანი, მათ მიერ ქართველთა დევნა-შევიწ-
როება, მაგრამ არც ერთს ამ მტარვალთაგანს ქარ-
თველთა მიმართ არ გამოუჩენია ისეთი სისახტიკა,
როგორც გამოიჩინეს აფხაზმა ბოევიკებმა 1992 წლი-
დან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს“.

პოეტი ხედავს რომ ჩვენი სინამდვილე ერის წე-
ლულების მომრავლების უმძიმესი და მწუხარე !ამია,
აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია უტყუარი ნი-
შანია, იმისა, რომ ქვეყანა ქვეყანას აღარ ჰგავს —
შინაგანად გამოფიტული, მოწამლული და ამღვრუუ-
ლია. სანთლით საძებარი გამხდარა გული, უფლისა



და მამულის ერთგული, ეროვნული იდეალებისათვის
თავგანწირვით მფეთქვი.

ის უბედურება, რაც ჩვენ თვალშინ აფხაზეთის
ომის დროს დატრიალდა, საოცარი ძალით იგრძნობა
ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. ნათქვამის საილუსტრა-
ციონ მოვიხმობ ლექს:

„მა ძმას ჰკლავს... სუფევს ქაოსი,
ძნელია ამის ატანა,
და ქართულ სასაფლაოზე
დგას და ხარხარებს სატანა.
დღე არის დამით მოცული...
აბა სად,
ვისთან იჩივლებ!
და მუხლმოყრილი ვლოცულობ:
სამშობლო გადამირჩინე!“

ვფიქრობთ, ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტი
ისე სრულად არის მიღწეული, რომ განსაკუთრებული
სმენისა და ხედვის უნარი არ არის საჭირო, რა-
თა ნათლად აღიქვა შემზარავი სურათი და ვითარე-
ბა.

ჩვენს წინაშეა შებილწული, იავარქმნილა გაგრა
და სოხუმი. პოეტს აშფოთებს ქართველი ვაჟაცევების
დაღვრილი სისხლი. ძაძით მოსილი დედათა სახეები,
შეძრწუნებულა იმ ქართველი ვაჟაცის საფლავით,



რომელსაც მშობელი დედის ცრემლი და ოხვრა წვიმად ჩაუდის:

„დვთის ანაბარად დარჩქნილ
დედის
ცრემლი და ოხვრა ჩაუდის
წვიმად,
იმ ჯვრიან სვეტთან, იმ ბუჩქთან
ტვიის,
იმ ქართველ ვაჟაცს, რომელსაც
სძინავს
უღვთოდ განგმირულს
ქართველის ტყვიით“.

პოეტის ცრემლშეუმშრალი ტკივილია სამასი ათასი ქართველის აყრა მშობლიური აფხაზეთიდან. საოცრად წუხს პოეტი სვეგამწარებული სამშობლოს ბედზე, დაღვრილ წვეთ სისხლსაც ისე განიცდის, თითქოს იცლება წვეთ-წვეთობით. პოეტს ღრმად სჯერა ისიც, რომ მოუშუშებულ იარასთან შეხება უმძიმესია. ჩვენი თაობა ვერ ამოწურავს აფხაზეთის უგვანო ომის თემატიკას. ზუსტად ასახვას დრო, გადასახედი, დაღვინება სჭირდება. არადა, ხშირად, შემოქმედი უსწრებს დროს...

პოეტი დამწუხერებული შესცეკერის აფხაზეთის ცას, გუმანით გრძნობს ცუდი დრო დადგა, ხმის გამ-



ცემიც არავინ არ ჩანს. მაგრამ ნაპირს უეცრად მომ-
დგარი ზღვა ქუდმოხდით ესალმება:

„აფხაზეთის ცას გავყურებ,
თითქოს ცუდი დროა!!!
და სხვა,
ხმის გამცემი არ ჩანს წამლად.
ნაპირს მოდგა და ზღვა
კვლავ ქუდმოხდით მომესალმა“.

ამ ლექსიდან კარგად ჩანს, თუ რას ნიშნავს
დროთა კაგშირის დარღვევა, მას შეგნებული აქვს
თავისი პოეტური მისია, იგი ჭეშმარიტად პატრიოტუ-
ლი განწყობილების პოეტია, რომელიც ყელამდევა
ჩაფლული თავისი ქავენის საზრუნავ-საფიქრალში.
ვაჟა ეგრისელის ლექსებმა ისტორიაშიც ჩაგვახედა
და თანამედროვეობის განსჯის საშუალებაც მოგვცა.

პოეტმა გულწრფელი სტრიქონები უძღვნა ცნო-
ბილი მწერლისა და მეცნიერის რევაზ მიშველაძის
ვაჟიშვილის — აჩიკო მიშველაძის ხსოვნას, სტუდენ-
ტი აჩიკო მიშველაძე საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობისათვის ბრძოლაში, აფხაზეთის ომში და-
იღუბა, ლექსის ეპიგრაფი მრავლისმეტყველია, „იქ
ერთი ალვის ხე იღგა, ლამის წვერი ცასა ხევდა,
შესვა ზედ, მისცა ორი სალამური („წიქარას ზღაპა-
რი“), „იქ ალვის მაღალ ხეზე შემჯდარი, მზისა და
მთვარის უკრავ სალამურს... და ესმის მამულს შენს



მხესნელ წიქარას, და უკვირს ასე პატარა ბიჭი — სიცოცხლეს არა, სიკვდილს როგორ გამოეპარე! — ეს დექსი გვაჯერებს იმ ჰეშმარიტებაში, რომ აჩიკო მიშველაძის დაღუპვა მწარე რეალობა და გაპვეთოლია, ამავე დროს სიმბოლური და ამაღლებული მოვლენაც...

ზემაღლი პატრიოტისა და ჩვენი ეროვნული მწერლობის უსაჩინოები მესვეურის მზეჭაბუკი გმირი ვაჟაცი თუ არა პატას, აბა ვის დარად მოიქცეოდა. აკი ოჯახიშვილობით გვარიშვილობის მადლი იფარავს ერს და მზენებას ანიჭებს მეტწილად გაუსაძლის ჩვენს ამდგრეულ დროსა და მწარე სინამდვილეს...

ვაჟა ეგრისელის რწმენით რევაზ მიშველაძე ჰეშმარიტი ინტელექტუალი და მაღალი ზნეობის ნიშანსვეტია. მწერალი და მეცნიერი ფეხდაფეხ მიჰყვება ჩვენს თანამედროვეობას, მან შეძლო გამოეხატა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მძიმე შედეგები. შეუპოვრობითა და მგზნებარებით მშობელი ხალხით, საქართველოს სამსახურში დგას და მისი ჭირისა და ლხინის, მისი ბედისა თუ უბედობის ჰეშმარიტი გამზიარებელია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ზვარაკად შეწირული მისი უსაყვარლესი შვილის აჩიკო მიშველაძის საუფლო ხომ ზეციური საქართველოს თვალშეუდგამი სინათლეა. პოდა, უკვდავია მზეჭაბუკი გმირის მამაც, რო-



მელიც დღე საფლავს ეფერება, ხოლო დამე ფიქ-
რთან ჭიდილში დაქანცული პუბლიცისტური სიმახ-
ვილით აქდერებულ სტრიქონებს წერს და ერის სამ-
რეკლოზე მნათესავით შემდგარი საგანგაშო ზარს
არისხებს, რათა გვაჩვენოს კეთილი მორალური საწ-
ყისის ზეიმი და გამარჯვება, გვაჩვენოს თუ რა ძლი-
ერია სამშობლოს ერთიანობაზე ფიქრი და ბრძოლა,
რა ძლიერია საქართველოსადმი სიყვარული. იგი
ძლევს ომსაც, სიკვდილსაც და სიძულვილსაც...

გულწრფელია დიდი პოეტი ვაჟა ეგრისელი რე-
ვაზ მიშველაძისადმი მიძღვნილ ლექსში, როცა
წერს:

„არაგვის პირას,
მტკვრის ნაპირას და შორს
ნილოსის,
დამსხდარან ქვები გრანიტის თუ
მარმარილოსი
და უნანავებთ ფრთებით არავი.
და მისამართებს...
და საჭრეთლის ძახილს ელიან
მაგრამ ღვთის გარდა იცის არავინ
შენი საძეგლე თუ რომელია!“

პოეტის რწმენით ძმათა შორის ატეხილი ამ სამ-
კვდრო-სასიცოცხლო ომის მიზეზით წინაპრები იმ
ქავეანაში მეორედ კვდებიან, ხოლო უფლის ხმასა



თუ სიჩუმეში ცრემლი და ვაება მატულობს. ასეთი ომის ექოები თაობათა ცნობიერებაში სიყვარულის ტაძრებს ანგრევენ, ხოლო მათი ნანგრევებიდან აშენებული სირცხვილის კოშკების თითოეული ვიწრო სარკმლებიდან სიძულვილი და დალატი იყურება:

„ენგურთან დავლურს უვლიან:

ოვსნი,

„აფხაზნი“

ლეკები

და საფლავებზე ტუია,

წუხილად კვლავ ირეკება!

ვაჲ, რა საზარლად ყმუიან —

ალგეთს დაზრდილი ლეკვები“.

აქვე, ვფიქრობ, საჭიროა ერთ გარემოებას გაესვას ხაზი, ვაუა ეგრისელის პოეტურ წარმოსახვას ასაზრდოებს მდიდარი ფანტაზია, რომლის წყალობითაც იქმნება პირობითი გარემოება, მხატვრულ რეალობას ბუნებრივად რომ ესისხლხორცება.

აფხაზეთის ომის სისახტიკეშ პოეტის სულიერ სამყაროში სიმშვიდისა და სიხარულის წამლებავი ქარბორბალა დაატრიალა:

„შენს ნათელ ცაზე

„აღმოსავლეთით“



კვლავ სიძუღვილის კვამლი
მოხრმოლავს
ადარც ქრისტე ჩანს
ადარც მერკური.

და სამეგრელოვ!
თაგწაჭრილი, ოოგორც ბოჩოლა,
ზღვის კარად გდისარ თვალ-სველი
და ხელფეხ შეკრული“

აქ ეროვნული ძირების, გენის, ფეხვის ძიება და
ლოცვაა პოეტის უპირველესი მიზანი. აქ არ შეიძლება
არ გაგვასენდეს ტერენტი გრანელის საყოველ-
თაოდ ცნობილი სტრიქონები: „და საქართველო ის
მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“.

ციალა მასხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



არ ჩანხარ...

სანაპიროზე,
ზვირთთა ჩოჩქოლი ისმის,
ზღვას კი ქარები ათრობენ...
მე გულს მიკოდავს მნათობი,
შორით ნასროლი ისრით.

1981

დამე იცინის

თვალს ჩუმად როცა ჩაუკრავს ელვა,
ცა სიხარულით გადიხარხარებს,
ახედავს შიშით და გაკვირვებით
ტოტი ძახველის და
გლიცინის.

უელავს ღამეს –
ვარსკვლავების ოქროს კბილები,
სხივებად მოდის ჩემთან სიცილი.

1966



უნდო ჟამისთვის რომ ყოფილიყო

ჩემი ქართული სიტყვა –

კერპეტი,

სტრიქონთა შორის,

ქართლის ველ-მინდვრებს,

სემირამიდის ბარად ვკიდებდი.

ჩემი ცხოვრების მთელი მანძილი,

ამ ციცქნა ლექსებს ჩაგაირკიტებდი....

1992



ამინდის შეცარი შეცვლა ზღვაზე

ცამ ელგის ჩახმახს გამოკრა ხელი,
გაგარდა მეხი...

წვიმას აპირებს.

თუმცა, მწუხერისას მნათობები სიშორეს
წვიმდა.

უგარდება და,
ტალღას ნაპირი,
ისწორებს, როგორც
ჩაჩაჩულ წინდას.

1962



ჩემს ფიბნები ნახავთ

მხოლოდ და მხოლოდ ჩემს წიგნში
ნახავთ,

გჯეროდეთ,
ვეღარ იპოვით სხვასთან –
ამდენ სიხარულს... ამდენ სევდას...
სვეტებს და თაღებს...
მთებს და მწვერვალებს...
ციხე-კოშკებს...
დაჭმუჭნილ ზღვას და
მეტე ერუკლეს სიგელივით –
დაგრაგნილ ტალღებს.

1968



15 მაისი, 1992 წელი

ძმას ვგლოვობ...

ცრემლი უნდა მდიოდეს...

და მაინც უზის ტაბლას კაცი სულ
ათიოდე

და სვამენ ღვინოს...

მიირთმევენ ჩაის, მურაბას...

გარეშე ზურნის და დაფდაფების,
ჩემმა დაჩიმ და ჩემმა ზურაბმა

გადამიხადეს დღე დაბადების.

1992



ლოდი პრაბგზე

მთა ულაყივით დაჟყურებს თავზე,
ჭიხვინებს თოვლს და...

ზაფხული მოდის,
შეყვარებული, ნესტანის მსგავსი,
ტარიელივით ჩამოჯდარა წყლის პირას
ლოდი
და ვეფხისტყავად აცვია ხავსი.

1968



ანდერძისმაგრარი

გვიან თუ ადრე,
 ვიცი, მოვხვდები,
 ყოფნა-არყოფნის ორპირ ქარში,
 გულგამჭვალავში,
 და როცა ვიგრძნობ მის გრიგალობას,
 ბინა დამიდეთ ხობის პირას,
 პარას ჭალაში,
 სულ რომ ვისმენდე ლერწმის გალობას.

1992



ო, შხილავო

მას ძალა შესწევს ქადილის და...

ფიანდაზებად

საუკუნეებს ფერხევეშ დაიგებს.

სიტყვის ქამანდით

წუთისოფლის ქროლვას დაიჭერს.

კიდევ ცოტახანს თუ დააცლის

არსთაგამრიგე,

ო, უხილავო,

მოადგება ის შენს კარიბჭეს.

1992



ზვირთების ჯობი

ზღვაში მნათობთა მოჩანს მეჩეტი...

მუდამ ქარიშხლის

გზებით მავალი,

აწყდება ღამის ხიდსა და ბოგირს

და ქედგადრეკილ კამეჩებივით

მიიზლაზნება ნაპირისკენ – ზვირთების

ჯობი.

1982



0სეგ 0რზევა

სადღაც,

არყოფნის ნავსაყუდელთან

ისევ ირწევა ნავი

ქარონის

და რიგს მოკვდავნი ისევ ელიან...

ელვით დაჭედილ

ქარის თქარუნიო,

ისევ აწყდება ნაპირს ზვირთოა

კავალერია...

1978



დოკუმენტი პირი

გამოქვეყნისას,

ცის ვერბა საცრიო გაცრილი

ნისლი

მთასა და ზღვას ეფინება.

ღრუბლებში ელვის გაკრთება სიმი.

და მე მომესმის ფრთათა რხევა

სერაფიმების

და მნათობების –

ღვთიური ჰიმნი.

1969



წინ გვედობება დამის ზეგანი,
სიბნელის მიღმა

მოვარის ხევია.

არყოფნა ზღვაა უკიდეგანო
და ჩვენი ყოვნის მდინარეები
ზამთარ და ზაფხულ
შიგ ირჩევიან...

1989



გალუმპულია ხე –
კვირტების მწვანე წვეთებით,
გულწითელები ბუდესათვის
ბალახს არჩევენ
და უპოვარებს გული უტირით...
ეზოს კუთხეში,
ღობის ძირას
თოვლის ნარჩენი,
შეშინებული, მიყუნცულა კატის
კნუტივით.

1961



ბობოქრობს სიძულვილის ზღვა,
გულები დარდით წალეპილი
ლვთის უგულობას გოდებს.
ჩემი სიყვარული კი ლეპვივით
წკმუტუნით,
უქან კვლავ მოგდევს...

1988



ორი ტალღა

თუმც გვიან...

მაინც სიძულვილის ყინული გალღვა...
გადმოხრილა და, მთას ზღვის მხარზე
უდევს ნიკაპი.

ჩვენი სიყვარულია ის ორი ტალღა.

სხვა და სხვა მხრიდან
ნაპირისკენ რომ მოისწრაფვის.

1976



დუღს და დუღს კუპრი დედამიწის ვეება
ქვაბზი
და ჩვენ, მოკვდავნი,
კვლავ ვიტანჯებით.

არავინ არის,
გამჩენს სწორი სიტყვა შებედოს.
ლმერთი კი არა, ცეცხლის კლანჭები,
ცაში მზე ყივის...
ცაში მზე ბუდობს.

1969



უფალო, შეგვიწყალე

მუდამ მოგველიან ჩვენ ჩვენი მკვდრები,
ლოდინით დაღლილი იმათი სულები.

სხედან მოწყენილნი ლოდებზე საფლავის.
ჩვენი აქ ყოფნის დღის დასასრულთან –
“უფალო, შეგვიწყალე!..”

გვგონია აღსრულდა –
ლოცვა და ვედრება...
და როცა პპვდებით,

ცაში კი არა, მიწაში ჩავდივართ...
დმერთთან კი არა, მივდივართ

ავსულთან.

1989



შავი დრუბელი შავი ხელებით,
ელვით გაბზარულ ცას
კვლავ ამთელებს,
რომ მნათობები ნათელს უმკიდეს.
აქ კი ხშირ-ხშირად ბნელს, კვესს გაკრავს
ციცინათელა
და დამის აბედს
ცეცხლს ვერა და ველარ უკიდებს.

1987



ტარო ილიას

დოინჯშემოყრილ სიმინდიდან ტარო ილიმის
თეთრი მარცვლების

თეთრი კბილებით...

და ასი კაბა აცვია და ვეღარ ეტევა.

კუჭი უხმებათ ოჩოფეხზე შემდგარ
ნალიებს.

შემოსევია სარს ლობიოს –

მწვანე ჰყვინტები,
თითქოს ბოსტანი ავსებულა კალიებით.

1964



როგორც ოლოდი

არყოფნა მარად გვიხმობს,
როგორც ოლოლი ოლოლს,
მაინც ყოფნაზე ფიქრით გვეხდება თავის
ქალა.

მიღეთის გზაზე დაგალთ...
და სეტიალის ბოლოს
კარს მივადგებით სიკვდილს –
ჩვენს მარადიულ ქალაქს.

1980



* * *

არც თავი უჩანს და აღარც ბოლო
დაღალულ დღეებს
და ღამის თევეებს,
წუთებს და წამებს აღვიქვამ, ვით ქვასა
და როდინს.
მე პოეზიის თაგსხმაში შევეღლ
და ღმერთმა უწყის,
გამოვალ როდის.

1962



ვარდივით ჰყვავი და იფურჩქნები
და სიყვარული გესიზმრება,

როგორც დრიადებს.
დამის კაბაში, შენ ანთიხარ, როგორც
კოცონი,
თვალს გვჭრის სინათლე,
სილამაზე და სიდიადე.

1968



სხვა არაფერი მინდა

მე მხოლოდ ერთით გცხოვობ,

ამქვეყნად მხოლოდ ეს მწამს,

უფლის წყალობით მოვჭრი –

ჩემს ტანწერწება ლერწამს.

რომ ხმა მესმოდეს მისი მარადუკვდავი

ფესვის...

სხვა არაფერი მინდა,

სხვა არაფერი მესმის.

1959



წვიმა იგალობეს ზღვისკარად ღრუბლებმა
და შავი ჩიჩახვები

დაცალეს.

მწუხარმა შეაყარა ცას ოქროს ნახერსი.

ტალღა ნაპირისკენ მოიწევს ბანცალით,
ფეხის ადგმა სურს...

და ვეღარ ახერხებს.

1961



რომ გაჰყოლოდნენ მარადისობის
“ექსპრეს”,

წუთით არ დააგვიანდათ:
მიუსეს,

ნერვალს,
და ელუარის.

მე კი, ხმალივით მჭრელს და ელვარეს,
ჩემს ქართულ სიტყვას –

გვერავ ნიადაგ.

1991



როდესაც ტალღა აფრინდება,
როგორც არწივი
და მიასკდება ლოდს –
თავგანწირვით,
ზღვა ამღვრეული იმ ლოდს მკაფიოდ
მიაწერს ქაფით ეპიტაფიას..

1967



რომ არ ჩაუქრეს ცეცხლი ციური
და რომ დემონი არ მოერიოს,

მიწა

თავს მაღალ ღმერთს შეავედრებს...

მერე, ღრუბლების ნაცარს მოჩხრებს ცივი
ძორით

და შეუბერავს სულს მნათობთა –

მიმქრალ ნაღვერდლებს.

1965



მას გული არა აქვს

ნიადაგ წითელი პერცხები უგორო,
ბოლომდე,
მაინც არ დაგინდობს,
უმღერე
თუნდ “იავნანური”.
მას გული არ აქვს,
სიკვდილმა არ იცის
შეცოდება და სინანული.

1985



პირველი მსედერალი

მოვრალი სიცოცხლით და სილამაზით
და გაზაფხულის მარად

მოსურნე —

მაღლა მიიწევს ფარფატი პეპლის,
როგორც დვთის შექმნილ ქაეყნის ნახვად
ერთ დღით მოსული,
როგორც დვთისადმი შეწირული პირველი
მსხვერპლი.

1958



მთვარის პეგასი

ფლოქვმოჭედილი –
გარსკვლაგების
ოქროს ნალებით,
გარბის დასავლით მთვარის პეგასი...
და დილა, მაღალ დვოის ნაკურთხები,
თენდება...
და მზის ძაღლის ყეფაზე,
სადღაც გარბიან ყურდაცქვეტილ ჩრდილთა –
კურდღლები.

1958



ქამს შარბათივით,

დღეთა ყანწებით

გსვამთ და გსვამთ...

მაგრამ ვეღარ დაგცალეთ,

სულ ტკბილად რომ ვსვათ, ნებას აღარ

გვაძლევს ურჩხული.

რადგან წუთები ცივი ჩურჩულით

ისე ცვიგა, ვით ქვიშის საათში –

ქვიშის მარცვალი.

1981



ჩემი სული


ბოლო მოეღო მომავალი დღეების
ლოდინს,
შედედდა ჟამი –
გახუნებულ დუმილის ზღურბლთან –
შეუცნობელი და ფერშეცვლილი,
არ უშინდება ქუხილში მდგარ დრუბლების
სისქეს,
და... ჩემი სული –
უქრობ ცეცხლივით,
ჩემი მამულის შუაკერადან მიიწევს
ცისკენ.

1962

გედაშრის თავის ქალა

ოქროს ფაფარში ჩაფრენილი
 წუთისოფელი,
 მტვრიან ხმაურში აღმა-დაღმა დააჭენებდა
 და აი, ახლა
 (ეს, რამდენი წელი გავიდა,
 დაუკრეჭია კბილი,
 მწყრალს თუ ბედით კმაყოფილს),
 სარზე ჩამოცმულ ბედაურის
 თავის ქალიდან
 ციფი ჭიხვინი ისმის არყოფნის.

1972



კანკალებს დამე,
ისმის ხმები მტვრევის და ნგრევის,
ისმის დრიალი,
ტალღა ტალღას
ებრძვის სხეულით,
თითქოს ერთმანეთს დარევია
ათასი დევი,
ათასი დევი
დამის ქვაბში გამომწყვდეული.

1978



၁၄၁ ခေစာင်္ဂလာ

მუხის დადარტე დამზრალ ხელებს
ითბობს სიცივე.

ფრთათა ფათქუნით,

ხის ტოტებზე ჯდება ზამთარი.

თან ახლავს ქარი -

თანამგზავრი მარად ერთგული;

თან მოსდევს ხმები

მხიარული და საწუხარი.

დგას სიცხიანი მაღალ თოვლში ოდა

მეგრული

და უკეთია თერმომეტრი —

თეორი ბუხარი.

1972



ცისკარი მოვა

ჭოტების კივილს
სივრცეები ეკლად დაისხამს
და გამოიყვანს ძილს
ბურანიდან.
გულს შეათროლებს ფიქრების ჩქამი
და სიჩუმეში მიმალული
იების კრომა,
ადრე თუ გვიან უეჭველად
ცისკარი მოვა
და ვარსკვლავებით ეკლავ ფხიზლობს
ღამე.

1978



მე დავიბადე

მზის შესაყრელად მიღიოდა გუნდი
მთიებთა,

ცის და სინათლის ჩუმი დაღადით.

იღგა სიცოცხლე და სიხარული.

მთვარის ჩქერალში
სივრცეები ხელ-პირს

იბანდნენ;

როს გამოენის ვარსკვლავების ატყდა
ქდარუნი,

მე დავიბადე.

1974



შეგონება

ვუსხედვართ წუთისოფლის სამსჯავროს,
სად უმაღლესი

დროა მსაჯული,

ცრემლი და ოხვრა,

არრა არის

რა მოსაწონი,

რომ ერთი სიტყვით კაცმა ინატროს.

ავაგიზგიზოთ სიკეთის და

რწმენის კოცონი,

რომ ბინდისფერი,

ცრუ სოფელი გავაჩირადდნოთ.

1979



ბარათაშვილის აღმართი

თვალსევდიანი უმზერს მთაწმინდას
პოეტის ხსოვნა –

აქ რომ აღმართეს,
პიტალო კლდეზე ადის აღმართი,
მგოსნის ბედივით

ციფი და ურჩი.
თოვლს მისდევს ქარი...
მტკვარში ნავი გდია ქოშივით.
და იქვე ახლოს პატარა ქუჩა –
ყინულის ტახტზე წევს გათოშილი.

1972



ხელდაკრეფილი დგანან ხეები,

უხმოდ,

უსიტყვოდ

უცხადებენ

სამძიმარს ერთურთს,

აქრეოლებს ტყესაც, —

ჩამქრალ კერასთან ზის გლეხი და

ვეება ნაჯახს

რიყის თეთრ ქვაზე

ლესავს და ლესავს.

1978



სელექტიფური

იხილეს სისხლის დღესასწაული
და დედამიწას
ომით ტვინი გამოულაყეს,
მაგრამ, აღიგვნენ...
კერ უშველათ ცეცხლმა,
ომებმა,
და გამარჯვების აღტაცება...
ნგრევა...
დიდება,
კით ამაოთა ამაოება,
მუნვე წარიდეს სელუვკიდებმა.

1981



უხმო სერობა...

წუხს მწუხარების საუფლოში ხმა

ქერუბიმთა,

მკვდართა სულებში ამაყად დგას ბებერი
ცაცხვი.

ხან მეტეორი გაუფატრავს დამეს შავ
მუცელს,

მოწყენილი ცა ისევ თესავს სიბნელის
მარცვლებს,

მაგრამ მიმწუხერის ვარსკვლავები კენკავენ
უცებ.

1988



გათხდა სივრცე

ეძინათ მინდვრებს

ტყის სიახლოვეს...

და შუაღამით

სოფლისკენ ლტოლვილთ


დასდევდნენ მგლები

უდედო კვიცებს,

მათ დასახსნელად მოვიდა თოვლი –

გათხნდა სივრცე.

1967



თამარ

მიხარის – გიმზერ, ვწუხვარ – და გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე.

გრ. ორბეგლიანი

ისეც მიყვარხარ...

ბეთანია შენი თვალებით –

შიშს და სიყვარულს

ნუღარ მაძალებს,

თამარ! – ღმერთქალო, იდუმალი ხმებით

მოცულო,

შენი თვალები არის წყვილი ლოცვის

ტაძარი,

სადაც მუხლმოყრით საქართველო

დღესაც ლოცულობს...

1968



პორიდა

დგანან პირისპირ –
წუთისოფლის ტრიალ მინდორზე,
ჩემი ყოფნა და ჩემი არყოფნა,
დგანან ამაყად და მიხარია.
ყოფნა –
ხარია,
არყოფნა კი –
ტორევადორი.
კორიდა!
მორჩა...
გათავდა...
უნდა დარჩეს ერთი,
ორიდან, –
კორიდა!

1967

შემოდგომა სპასტიზი

სვანები ბალახს და ღამეებს
ისევ თიბავენ,
შემოდგომა კი აღარ იღევა.
მზეზე ნაკვერი ელავს მთვარის
მოხრილი ცელი
და გუგუნებენ მთები “ლილეოს”
ენგურის ყელით.

1969



დიდი პავანი

ზურაბს და დაჩის
ჩემი დროც მოვა,
უამი დარეკავს დიდი პაემნის...
თქვენ ძმები ხართ და... ღმერთმა
გაშოროთ

ბედი, შავ-ბედი აბელ-
კაგნის...
კაიკაცობა, –

შეურყვნელი ღვინოა ძელგი,
რომელსაც მუდამ ღვთის მადლი და
მირონი

შვენის.
ჩემი სამშობლოს –

სიყვარულის დამადგით ძეგლი...
და... უკვდავება იქნება ჩემი.

1977

ბახტოონი

სივრცეებს ზარავს უმხედრებო
ცხენთა ჭიხვინი,
სიკვდილი დაქქრის ფრთებით ისრების...
დამარცხდა მტერი...
კარგად ვიომეთ! –
ხმა მესმის ზეზვას და ელიზბარის...
წარსულის მძიმე ომის კვამლში წევს
ბახტრიონი,
ვითა ცხადი და... ვითა სიზმარი.

1962



მთანი მაღალი

ცისა და მიწის ვარ მბრძანებელი,
და ახლა მამლებს
სიჩუმიდან
მზე რომ ამოჰყავთ,
 ჩემია იგი, –
მიანდერძეს ჩემმა ძველებმა,
ჩემია ვაჟას “მთანი მაღალი”,
 შორით რომ სჩანან
საქართველოს ცის გაგრძელებად.

1964



...და მზეს ჩამავალს
ქარი მისდევს

ხელებგაწვდილი,
და მზეს სხივების სცვივა ნაყოფი,
ბნელი ძახილი ისმის დაისის.

გზიგარ ზღვისკარად,
ვდარდობ წუთებს
ქვეყნად არყოფნის,
დაურ ჩიტი კი...
უდარდელად გალობს
თავისთვის.

1987



პაპა მეტყოდა ვარსკვლავთმრიცხველი:

— ცაში მნათობი ვთვალე...

ვთვალე... ვეღარ დავთვალე

და აჲა, ასი მიიწურა ზაფხულ-ზამთარი,

დამე კი,

დამე მოვერცხლილი მთვარის

სათვალით,

ვარსკვლავთა წიგნებს კითხულობს და...

ვეღარ

ამთავრებს.

1963



ჩემში უფალი ზის და მკარნახობს

ცხოვრების წიგნს და...

როს შეეშლება,

მამაზეციერს მინდა ვუყვირო:

კმარა!

შეჩერდი!

პოეზიის ამ სიუხვეში,

ჩემი ლექსები არის ჩემებრ

მთლად გულუბრყვილო,

ჩემებრ დიდგულა,

ჩემებრ ფიცხი,

ჩემებრ უხეში!

1972

დაუკითხავად, როგორც მოყვასი,
კარზე მოადგა

შემოღებმა

ტყვიავს და შინდისს
და დიონისე –
დვინის ღმერთი ფქხდაფქხ მოჰყვა.
კასპს სამოსს იცვლის

წაბლი და შვინდი,

გორში –
ვარდისფრად შეიღებეს ვაშლებმა ლოყა.

1984



ცისარტყელას აპბაროზი

როს დაეჯახა
ღრუბელს
ღრუბელი,
ელვის მათრახით ცა
გაროზგა.

და... ღმერთს ვარდისფერი ცისარტყელა,
ყელზე პვლავ ჰკიდია
ავგაროზად.

1977



საქართველოს ისტორია

ათასწლეულთა ოკეანიდან
ამოვიყვანე და...


ისტორია

ხელში მიჭირავს კვლავ ლაყუჩებით,
მოწვეთავს ცრემლი...

წინაპართა

ცრემლის აბს ვყლაპავ,
მოურჩენელი ტკივილების გასაყუჩებლად.

1969



იმპი

მე,

მიწის ძე ვარ ანტეოსივით,
სხვები კი უფრო ზეცას ელტვიან...
და ჩემი სული, მზით შემოსილი,
დედამიწაზე ვერ დაეტია.
გაივლის ქამი...

დიდი ხნის მერე,

ნათელი მოვა ღვთის ნაბოძები
და... საუკუნის ჩრდილში დაკარგულს –
ჩუმად მომძებნის.

1978



გაგყურებ დიდგორს,
ქსანს და ასპინძას,

ქველი,

ამაყი და თავმომწონე.

ჩემი კრწანისით და მარაბდით მეწვის
თვალები.

შენს დიდ წარსულში მიღელფილი
სევდის

კოცონი,

მამულო! ჩემში არასოდეს მიინავლება.

1980



ჩვენ ერთმანეთზე ვფიქრობთ
და ვფიქრობთ,
ყოველი წეთი, ყოველი წამი.
და ოცნებათა სრა-სასახლეს
მთვარეზე ვიგებთ...
ერთმანეთისკენ მივისწრაფით
დღისით და დამით,
მაგრამ ფიქრების უღრან ტყეში
გზას ვეღარ ვიგნებთ.

1978



କବିତା

სამყაროს წარსულში ბერძენი ღმერთები
მეფობდენ...

გვასმევენ მაღლსა და სიკეთეს.

ხოლო ქართველი უფალი

კვირი 39

დღეებს და დამეებს –

საოცარ სიზუსტი -

დიდსა და პატარას თანაბრად გვირიგებს.

1989



ობეჭისები

ცეცხლი იგი,
თუ ანთია გმირთა სულები,
გარდასულ ჟამის მახვილით და
ცეცხლით მთხრობელი,
თუ გაჰყოლია ყველაფერი
მტკვარს დაშლილ ტივად.
ვუმზერ კივილად დამდგარ ობელისკს
და...
საქართველოს წარსული მტკივა.

1979



* * *

იმ ოქრო სანის –
მეთორმეტის – მოიქცა ჟამი,
გამიდიადდი,
მზის სარკეში ვეღარ ეტევი.
სითბო,
სინათლე,
სიხარული
მიგაქვს გულებთან.
ადრე სხვა იყო,
ზღვისპირ იდექ
რკინისმკვნეტელი
მარტოდმარტო და...
ირგვლივ მტერი გიძუძგურებდა...
ჩემო მამულო!

1974

მეტასიან

მეტეხთან უცებ წარსული დარეკეს,
სადღაც უყივის – მარეკი მარეკს.
და ხმათაშორის ერთი ხმა ბოხობს.

ნადირს და ფრინველს –
მწევარნი ჰყეფენ...
ო, ალბათ, თავის დაკოდილ ხოხობს –
წყალში ჩაგარდნილს წააწყდა მეფე.

1962



ცა და ზღვა

ცა, პვლავ უზნეო ბაგშვივით ტირის,
თუმც მიწა, ელვის არტახებით

შემოჭერილი

ღრუბლების ჩვრებში შეხვეული აკვანში

უწევს

და ქარიც “ნანას” უმდერს... და ურწევს...

ზღვა კი ლომივით ტორებს სცემს
ნაპირს

და იღრინება კბილებით ქაფის.

1986




დღე და დამვ

დგას ზღვისკარად და ოქმულებებს
აშრიალებს

ჩემი კოლხეთი –
ფორთოხლის ხე –
მსხმოიარე.

1968



უფლის განგებით ჩვენთვის ბოძებულ,
როგორც სიცოცხლეს,
ისე სიკვდილსაც,
დავიწყებისკენ ჩუმად მიათრევს...
(წუხეს წუთიერი ბედნიერება)
დღესა და დამეს –
ამ გოლიათებს,
დედამიწაზე ვერგინ ერევა.

1991



* * *

ნაკადულების სიცილ-კისკისში,
მინდვრები ჭილის ყაისნაღებით,
პატარ-პატარა ჩრდილს მომიქსოვენ,
ან ვარდთა გვირგვინს კვლავ დამიწნავენ,
თუ კბილს არ მომჰრის ეს საწუთოო, –
ეს ძაღლყურძენა,
ტყის კარებაზე ამხედრებულ ამდენ
სიმწვანეს
და გაზაფხულის შემოტევას თუ
გავუძელი.

1989



შიმრი და აზრი

ჭიანჭველების ბუდეა თავი,

ფიქრები –

რემა ჭიანჭველების,

დაფუსფუსებენ, არ გვაძლევენ წუთებს

უზრუნველს.

აზრი კი –

დედაჭიანჭველა, – ადარ ისვენებს,

ძიღმიც და ცხადშიც,

სულ რაღაცაზე წუხს და ბუზღუნებს.

1974



ყოველ გაზაფხულზე ჰყვავიან ბაღები
და ლოცვად დგებიან ვერხვები,
თავისი ფუღურო –

ნიშებით.

კვირტებიც პირს ჩუმად აღებენ,
რაღაცას გვანიშნებენ...
მაგრამ ჩვენ ვერ ვხვდებით.

1965



ო, როგორ სცივა

ნაკადულების

თეთრი კვიცები,
ყინვას კვლავ დარჩა გასაბაწრავი.

ცა,

ვარსკვლავების კბილს კბილებზე
აცემინებს...

ო, როგორ სცივა.

ტყეები ქარში პირს იკაწრავენ,
ხეებს –

ფოთლების ცრემლები სცივა.

1987

მეჩები არა,

ზღვად დაღუპულთა ჩონჩხებია

იქ დახინჯული,

ვით დღე და დამე, იქ გაყრილი სული და
ხორცი.


ის ტალღა არა,

არის მიჯნური,

ნაპირს –

გულისსწორს ვნებით რომ კოცნის.

1967



ყველაფერი დარჩა უცვლელი

მოგონებები, დედა,
ტკივილს კვლავ მიშუშებენ,
ისევ მიყვარხარ...
ყველაფერი დარჩა

უცვლელი...

ავად ვარ ახლა,
და სხვადასხვა წამლის შუშები,
გვერდზე მიკრული თეთრი ფურცლებით
სხედან ცალფრთიან ფრინველებივით.
სხვა არაფერი, დედაჩემო!

ყველაფერი დარჩა უცვლელი...

1990



თეთრით მოსილი, როგორც გრანელი,
ვზიგარ მწუხარე ლოდზე საფლავის
და, ვით ტოროლა, ველი იალონს,
რადგან ქარივით მიუსაფარი,
მე,
შენს უძილო დამეებში
დავხეტიალობ.

1968



მიმწუხრის პირზე ჩამოქროლილი,
 ფართოდ გაშლილი ფრთებით –
 წუხილის

მზე, –

მთათა მიღმა მიფრენს ქორივით,
 მიაქვს სინათლე და სხივებად ცვივა
 წივწივი,
 უკან სიბნელე მისდეგს
 კრუხივით.

1964



ვიქრით დაღლილები

მე და შენ ერთმანეთს დავეძებო

თვალებით,

ყელმოღერებულნი,

ვითაარ გედები.

თუმცა სიყვარულის მხრებს გვაწევს

სიმძიმე.

ფიქრით დაღლილები,

მწუხარზე მივეგდებით

და ერთმანეთის თვალებში ვიძინებოთ...


1989



ମେ ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ, ଭାରତ

ხვენთვის, ძვირფასო,
ერთად ყოფნა არის სამოთხე,
სად სიყვარულის პყვავის გარდები.
დამეები კი გვიჩანს მდვიმებად.
და საუბარი სიკვდილზე რომ
ჩამოვარდება,
არ ვიცი, რატომ,
მე მეღიმება...

1960



მიხღება კოლეზრი ჰავა

ჯერ კიდევ თავს იხრჩობს ენგური
ზღვაში და...

მუნჩია მუნჩიობს...

მიხდება კოლხური ჰავა.

და ახლა,

უშნო და უჩინო,

შავი ზღვის ნაპირზე ვდგავარ.

1992



ოჯადუში

გიდელებივით პკიდია ტოტებზე
 შაგ-შავი მტევნები –
 თხმელის ხის ხიზნები, –
 შავ მარცვლებს თვალებად ანთებენ.
 და... “ოჯალეშით”
 თუკი ჩვენ დავთვრებით,
 დევის სისხლია და...
 ერთ კვირას ვერ გამოვფხიზლდებით.

1965



* * *

სავსე ათასი ფერით და ჰანგით,
შენ რომ უბოძე,

38 օյտ իշնջո

და ცისარტყელის ება ლარები
და ვით შეეძლო, ცისიერო -

შენ გიგალობა.

ახლა კი ყველო... მუხლმოდრეკით

გემუდარები,

ჯერ ნუ წაართმევ, შენს ნაბოძებ ნიჭს
და...

የግዢዣዎች

1980



მაც და მონე

(ფრანგი იმპრესიონისტების გამოფენაზე)

ფერთა უდაბნო –
 სასოფლი თავდავიწყების.
 ქალიშვილები,
 პიანინო¹,
 მთვარის მარაო².

შეჩერებულა დრო და ჟამი და არარაობს,
 და ყოველივეს –
 აქ ფუნჯი მონებს,
 აქაა ყველა მოსაგონარი:
 დეგა, პიკასო, რენჟარი, მანე და მონე,
 დიდი გოგენი,
 პისარო და ბრძენი ბონარი.

1972

1 იგულისხმება რენჟარის – “ქალიშვილი პიანინოსთან”
 2 მონეს – “ქალი მარაოებით”

სდუმს ქარიშხალი —

ზღვათა ხიზანი,

მძინარე ფსკერზე მნათობები თვალებს

ახელენ.

მთვარე ზღვის სიღრმეს ზომავს, მისგან


ასჯერ გაზომილს.

აღარ ჩანს ზეირთთა უმაღლესი სრა-

სასახლენი

და აღარც მისი სადარბაზონი.

1976



ცის დარბაზებში სძინავთ ვარსკვლავებს
ღრუბლების ბალახს –

მთვარე არ ძოვს

ლამის ჭალაში.

ტალღებსაც სძინავთ ზღვის დიდ მკერდში
უხმოდ ჩაკრულებს,

შენ კი არ გძინავს,

სიყვარულო,

და ნეტარებით,

გულის დირეზე მხოლოდ ერთხელ

დამიკაპუნე,

და განიხვნება მოლოდინის ცივი კარები.

1978



ქათევან დედოფალი

სისხლიან პირით უცინიან

ორლესულები

შუა გაჩეხილ მტერს და მოძალეს

და წარსულიდან

კვლავ მოისმის

ლოცვა და კვნესა:

“ჩემს საქართველოს აარიდე

ლახვარ-ბოძალი

და ისევ ისე მოიდე ჩემსა”.

1974



* * *

პიტალო კლდეზე –
მეფესთან ვდგავარ,
წარსული ტანში ჟრუანტელად მივლის...
გახტანგი არა!
მე მტრის ისრით
ასჯერ ვარ მკვდარი.
– “იყავნ ქალაქი!” –
ატყვია თბილისს –
გორგასლის ხელმოწერა – მტკვარი.

1969



ცოსფალგია

აღარ არსებობს შორეული დრო და
მანძილი,
მშობლიური მზის სიახლოვით მეწვის
სხეული,
ჩემს სიყვარულში
და ალერსში გახვეული
ფიქრის აკვანში მიწევს,
მაგრამ ვეღარ ვაძინებ
და ყოველ დამე “იავნანას”
ვუმდერი საქართველოს.

1970



ყორანი

ის იყო, რომ მოვიძიე გზა –
 ბედს იქით,
 წინ რომ დვინო ლალისფერი მედგა,
 მოვსვი,
 წამს ყორანი შემოფრინდა თვალბედითი,
 ტატოსი თუ ედგარ პოსი
 და დამჩხავლა:
 ქრისტე ხარ თუ მადიარი,
 სულ ერთია, საითკენაც გიმგზავრია,
 ყველაფერი,
 ყველაფერი ცხადი არი,
 ყველაფერი...
 ყველაფერი სიზმარია.



ღრუბელი

წვიმის ნაწილებს
მხრებზე გადიყრის

ღრუბელი, —

ზღვის ნაშობი და ნაშიერი.

მერე შედგება ქარის მაღალ

მაშიებზე

და ზღვისკენ მიდის

მაშიებით.

1982



სამიზნე

შემოხაზული ლამაზ წრეებად,
 ჩვენი ცხოვრება –
 შიშვე მიკრულს
 მოჰგავს სამიზნეს
 და მე ყოველთვის “ცხრიანს” არა,
 “ათიანს” ვზვერავ.
 და როცა მიზანს
 ჩავდებ ჩემი გულის
 ლულაში,
 მაშინ შენს თვალებს –
 სამიზნესკენ
 გაურბის მზერა.

1975



ადმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი,
“ქართლის ცხოვრება” –
წარსულს მიღამპრებს.
მთვარე ჰყიდია სიშორეში, ვით ბუმერანგი.
და კოლხურ დამეს,
ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს
წინაპარს,
ტანზე აცვია გარსკვლაგების
ჯაჭვის პერანგი.

1989



ადრე თუ გვიან,
 როცა დარდისფერ
 დამეულ ბინდით
 შევიბურები,
 და მთებს როდესაც ჩაესმებათ
 პონტოს ბლავილი,
 მკვდრეთით აღვდგები
 და სიყვარულით –
 ჩემი თბილისის ხმაურიან ქუჩებს
 დავივლი,
 სიმყუდროვიდან გამოპარული.

1973



ბაზაფხულის ფვიქა

კითხულობს ღმერთი

ცის და მიწის წიგნს,

ო, რამდენი აქვს

მოსაგონარი...

ხან ატირდება...

დირსსახსოვარ დღეს ჩაინიშნავს

ცისარტყელას

ფერად ზონარით.

1972



დამფრთხალ ქორივით
 გაფრინდა ქარი,
 მინაგლდა,
 მიწედა,
 მოყაფანე ტალღების ჩქამი
 და წითლად სახეაფაპლული,
 ბაგშვივით მორცხვი –
 მზე ჩადის ზღვაში...
 და დღე და ღამე
 იყრება, როგორც
 სული და ხორცი.

1978



ცეცხლის ალყაში გამომწყვდეულებს
მტერი ყიჟინით ირგვლივ

უვლიდა,

ისმოდა კრულვა, აბჯარასხმულ ქართველ
დედების...

და აი, ახლა,

ციხე-კოშკთა სათოფურიდან,
მოისმის ხმები თქმულებების და
ლეგენდების.

1979



ԱՆԳՈԼՈՒՄ ՃՇՆԹՈ

კერიის სული ღმუის ნაცარში
და ელანდება მუგუზლების
თვალის ბრიალი,
ალის ყელები ერთმანეთზე
გადანასპელი,
და ჰა, დამესაც სიმყედროვის
გუნი
უჩნდება,
მაგრამ, უცრად კუნძი ასკილის –
მაყაშვილივით თავმოკვეთილი,
ცეცხლს წაიტირებს
და... მიყუჩდება.

1979



მორჩილება

სიცოცხლე ნუთუ წეალებად დირდა?
ასეა მუდამ:
მოვიხურავ მზის კარს
მწუხარისას
და დაქანცული გავდიგარ დღიდან,
და მთელი დამე მთვარეულივით
ძილ-სიზმარეთის
მტკრიან გზაზე დავეხეტები.

1974



8071

დასაბამიდან უხმობს,

უძახის...

მოხუცი მთვარე და ვარსკვლავები,

მაგრამ ჩვენ გვინდა საუკუნოდ

გულზე გვეყაროს

ბალახ-ბულახით დალალდაწნული.

და... მიწა სადმე,

რომ უეცრად არ გაგვპაროს,

ურიცხვი გზით და ბილიკებით

გვყავს გაბაწრული.

1968



ჩემი სიცოცხლის ლაფაროში
დღეები წვეთავს... წვეთებს ითვლის და...
ვხედავ, მტრულად მიყურებს ჟამი.

და აღარ ვუწეი, სანამ გასტანს
ჩემი და ჟამის ფარული ომი.

ჟამს მსურს ვუყვირო:
არა გრცხვენია? უნდა ყაბახო,
რომ თითზე ითვლი ჩემს დღეებს და
ჩემს ასაკს ზომავ,
თვითონ უხანო,
ულმობელი და უასაკო.

1967



დღე –

დედოფალი მზის ბაჯაღლო მედალიონით
და ცისარტყელას ფერადი ქამრით,
დამე კი მეფე შავი ჩოხით და მთოვარის
თეთრი ქილებით,
ცად მობრძანდება ვარსკვლავების
დიდ მაყრიონით

და...

მათი შეყრა ღმერთმა ინება.
ვზივარ ზღვისკარად,
და შევურებ სულისმილევით,
დღისა და დამის დაქორწინებას.

1972



დიოსკურია!

წესილის და სევდის მომტანი

შოორეული ქრიან ქარები...

და ზღვის სიღრმეში

ტალღა კი არა,

სული ტორტმანობს

ჩემი წინაპრის...

1984



შენს დროშისფერს,
შენს სიმაღლეს,
ვითარც გახტანგ,
ვითარც ცოტნე,
შეეწირა სხვა ათასი.
ქართლის ცაზე რომ პკიდია,
მზე კი არა!
თავი გახლავთ პაატასი.

1971



მიწის ბელტების დგას ღრიანცელი...

მე რწმენის საჭით

ზღვა გავაპე

და, ვით მენავე,

მიველ იქ, სადაც შენ ციმციმებდი...

“ჟამი ჩემია, და ჟამისა მე ვარ

იმედი”.

და... შეწყნარებას გთხოვ უზენაესს.

1988



შეხედეთ ზეცას

პოეზიის სისხლი გახლავთ

მზე მეწამული..

ახლა დამეა თვალბრიალა, და განა ბეცი.

ჩვენ კი მარადის ფიქრით ვიწვით

და ვიღვენთებით...

შეხედეთ ზეცას! პოეტებო!

შეხედეთ ზეცას!

დაწინწალულია პოეზიის სისხლის

წვეთებით.

1979



შსახელო პოეტი

მუხტოალმა ბედმა
ძნელად სავალ გზას
შემატოვა,
ღამე დამჩხავის უსმელს და უჭმელს.
მზის დიდ პალოზე დაბმული ცა
ყასიდად მიყეფს
და სული ტოვებს ცოდვით სავსე
სხეულის
ჭურჭელს,
რადგანაც იგი გამოდგა მყიფე.

1979



ყოვლისმხილველი

მგოსნის მზერა –

უცხო ფრინველი, –

ლოდინის მზიან ბუდეში ზის

ფრთადაკეცილი

და წამს დაეძებს

უხილავის

მოსახილველად.

1967



დაქ, სადმე ავიმაღლო მიწა,
თუ ვერ გარგებ
ამ სოფელში მოცდით.

ჰე, მამულო!
მინდა მოვკვდე შენოვის,
შენს დარაჯად ვიდგე
ერთი ბორცვი.

1988



გიორგი ციცინათელაძე

მთვარის ქმბაზში განბანილს,
სანამ დრო-ჟამი
გამთელავს,
ღმერთს ვევედრები, ამანთოს,
და ვითარც ციცინათელამ,
ჩემი სამშობლოს მთა-ბარის
საუკუნენი
კი არა,
წამი რომ გავანათო.

1969



ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

დუმილის მტვერში თვალს გაახელენ
და დაგიწყების ტრამალიდან
მოვლენ ქარები,
მათ ლურჯ თითებზე ზამთრის ღამე
ბროლად დატყდება,
და ნამსხვრევები რომ შეაგროვოს,
ნაპირი ტალღებს
აიკაპიწებს.

1969



მწვერი რომანი

უმთვარო დამე ჰგავს უშენობას.
ცას და მიწას შეა შავით მოსილი
დადის სიბნელე –
ჩემი წესილი.

1969



სინათლის მიღმა

სინათლის მიღმა, —

სიბრძელეში ვერ ვიხედებით.

ხელს გვიშლის

შავი სამარის ლოდი.

გზადაგზა დარდის

ქანგი გვედება,

რადგან სიცოცხლე გაჭიმული თოქია
ოდით,

რომლის თავ-ბოლო

სიკვდილ-სიცოცხლეს

ჩაუბლუჯავთ და...

ღმერთმა უწყის, გაწყვეტენ როდის.

1959

ქვათახევი

მეჩვენება:

განთიადი წუხს და დელავს
და წარსული, დაძენბილი ფრთათა
რხევით,

მოფრინდა
და ქონგურზე ზის, როგორც ძერა
და მწუხამდე ქვათახევის
ციხის

შემოგარენს ზვერავს.

1961



თავს დასტრიალებს მარადიულს
და შეუცნობელს,
მაგრამ დელვაში
ვერ იპოვა სიმშვიდე სრული,
რადგანაც ქვეყნად
უკვდავების მაინც არ სჯერა.
და ტანჯვის მძიმე გრდემლზე გდია
პოეტის სული.
ჟამი – მჭედელი
მზის უროთი კვერავს...
და კვერავს...

1967



გოთარც ფრინველი

ვწევარ...

დათოვლილ ფანჯრის რაფაზე

ისეგ დევს მთვარის

თეთრი ფიალა, —

ჩვენ ტკბილ წარსულში შუქთამფინველი.


გათენების ჟამს

მოგონებამ შეიფრთხიალა

ხსოვნის ხმელ ტოტზე

და მიყუჩდა, ვითარც ფრინველი.

1967



დ გ დ ა ს

მცირე გორაბზე –

იასამნის ლურჯი

ტოტივით,

შენი არყოფნა ჰყვავის და ჰყვავის...

ფიქრთა ტალღებში

ელაგს ხსოვნის

პატარა ნავი,

რომელმაც მშვიდად მოგონების

ლამაზ კუნძულზე,

შენს სახილველად გადამიყვანა.

1967



ჩემი ღლევები

ჩემი ოცნების ციხეგ-კოშკში
 ვზიგარ მეფურად,
 საგსეა მზერა ზამბახებით,
 ორქიდეებით.
 სანდახან ბნელში გაიელვებს ლანდი
 მაცილის
 და... მზის ვეება თაიგულით –
 ჩემი დღეები,
 სულ ნელა-ნელა დასავლეთით
 მიმაცილებენ...

1966



გაიღვიძებენ უცებ ქარები,
დაკუნთულ მკლავებს გაიმართავენ
ლურჯი ტალღები
და დაღლილ სხივებს აისხამენ
ვერცხლის მძივებად.
მზე ზღვის აკვანში წვება ბალდივით
დასაძინებლად.

1965



ამაღლებული, როგორც მესია,
 სივრცეს გავცექერი
 გულგაღედილი:
 მიშვებულია ჩქერი სინათლის,
 ბრუნავს და ბრუნავს
 მთვარის ბორბლით
 დამის წისქვილი
 და... ცაში ყრია გარსკვლავების
 წვრილი ღერღილი.

1966



ეს მერამდენე საუკუნეა –
სვეტიცხოველი
მტკვარში რომ დგას,
როგორც ქმბაზში.
და მცხეთის ბებერ გალავანთან
უამს რომ არწყელებს, –
ეს მერამდენედ,
არსაკიძის უკვდავებაში
მისი მოქრილი მკლავი
გვარწმუნებს.

1976



სანაპიროზე წევს ივლისი –
 ტანაქერცლილი
 და ცხელ ქვიშაზე ხარხარებს ხვატი.
 ნაპირთან გდია პატარა ნავი,
 ვით აფროდიტეს
 ცისფერი ქოში.
 მიწის კალთაში კვლავ უდევს თავი
 ზღვას და...
 ნაპირის სველ სახეს ლოშნის.

1965



0სეგ თენდება

წვიმებს გადაჲყვა
შორეული თოვლის ზმანება,
დაპატარავდნენ თეთრი ქედები,
ღამე ჩაუდგათ
ჩამქრალ გუგებში...
ჩემი წუხილი
ზამთრის მიღმა,
ისევ თენდება,
და ვიმზირები შენს სიღრმეში,
შენს სიჩუმეში.

1968



თოვს და... კვამლივით ცისკენ მიიწევს,
მგლების ყმუილი და

გააფთრება,

რომ შეაჩეროს, ცხელი ტყვია ვეღარ
ეწევა.

ძაღლის ყეფაზე,

ნადირივით,

მთვარე დაფრთხება

და ლამის მიღმა გადიხვეწება...

1969



ციცქა ტალღები, ვით ფერიები,
ჭყუმპალაობდნენ ლამაზ ნაპირთან,
იქვე გუბეში მთვარე ეგდო, ვით ცხენის
ნალი

(გარდასულ ქამთა აჩნდა შრეები).

ვესროლე კენჭი და შეკრთა წყალი
და გაფანტა შიში –

წრეებად.

1976



გეჯინში

ეზოს კუთხეში თავშეეყრილმა ცელქმა
 ფოთლებმა,
 ქართან იმრუშეს და
 იღლაბუცეს,
 მერე აფრინდნენ,
 დააბნელეს დილა ვეჯინის,
 თითქოსდა ყანა ზღვა გახდა უცებ
 და ზღვის ტალღებად იქცა ჯეჯილი.

1986



მზე ყივის...
და მაინც ბინდია,
ბილიკზე ბიჭუნა მათრახით –
მისხეპავს დილის ნისლს –

უნდილს.

ქართული ხანჯალი პკიდია,
ახურავს სვანური ქუდი.

1966



ମହାରାଜାଙ୍କ ଲେଖନାକଳିତା ଓ ପରିଚୟ

მნათობები დილამდე რაღაცას
ჩურჩულებენ...

სინათლეები მოდის –

მათი თქმული და უთქმელობა.

ჩვენ ვხდებით გუმანს, ცა მიტომ
ბრაზობს.

მკედრები ლაპარაკობენ და...

მკვდრები დუმან,

მკვდართა დუმილია – სასაფლაო.

1961



მზის ალერსსა და სიმხურვალეს
გარ მიწოდილი,
ფეხებზე დაღლის მაცვია წაღა.
ქარის აღმა ხნულს,
ზღვა დაბლა ფარცხავს.
ოქროს ვერძივით მოაბდავლა ნაპირთან
ტალღამ
და დამირდვიდ სიმშვიდის ფაცხა.

1969



წყალსა და სისხლს სწოვენ
ზღვას შავი ღრუბლები,
ეს დაუნდობელი ჯოგები –

ვამპირთა,

ასაოხრებლად ცას მოსდებია.

კვლავ ფაციფუცობენ ტალღები ნაპირთან,
ალბათ,

ქარიშხალს ელოდებიან...

1967



ჯარისპაცხები

გამოსავალი ორიდან –

ერთია,

ან უნდა გადარჩე,

ან უნდა დაეცე,

ომის კანონი არის მკაცრი.

ყველა და ყოველი რაღაცას დაეძებს,

მხოლოდ დაკარგულ ფეხს –

არ ეძებს ჯარისპაცი.

?!...

1981



რომ ცხოვრებამ არ შეგვაშინოს

არსთა გამრიგე,
 ჩვენს ისედაც მოკლე გზა-შარას,
 ზომავს არსენას დიდი არშინით,
 სიცოცხლე მარტო ამისთვის დირდა.
 და... რომ ცხოვრებამ არ შეგვაშინოს,
 ჩვენ,
 მუდამ გვერდით –
 სიკვდილი გვიდგას.

1991



ალექს

აბგისტო, შანა, მზე

ტარო ქარქაშში ყამასავით აქვს

ჩაგებული

და ჩაუბამს სიმინდს

ფერხული...

იღიმის მარცვალ მოოქროვილი.

ყანის გულზე კი დამდგარ მანჩხავას,

მზე დასტრიალებს თავზე –

ქორივით

და სიშორეს და სიცხეს დაჩხავის...


1980



მიყვარს

თვალებში უეცრად ბრაზი რომ იქცებს
და წყენის წვეთები
დანამავს წამწამებს,
მაშინ სინანული მაგზნებს და მაქეზებს.
და... ელვასავით გამკრთალი
ღიმილი
მიყვარს შენს ბაგეზე...

1962



მს ჰველაზერი

დღისა და ღამის ფრთებით ვიფრინე,
დავლახე მთები...

და გავშალე ზღვებზე –
აფრები...

მზემ სივრცეები გადამისარეა!

(ვიცი მცირეა),

მაგრამ მაინც ეს ყველაფერი,
ო, ყველაფერი, მე შევქმენი არაფრისაგან.

1992



ზღვის გულდამწვარი ჭირისუფლები –
ალბატროსები

და თოლიები

სივრცეს კაწრავენ წივილ-კივილით.

მკერდზე მჯიდს იცემს ზღვა

აქოჩრილი.

ქარს ტალღა მოაქვს ხელის გულზე

დასვენებული,

ვით შაპის ფაიქს,

პაატას თავი –

მოჭრილი.

1961



ოქროს ცრემლებით –

გარსკვლავებით –

და დამიტირებს

და ჩუმად მეტყვის თან “სულთათანას”...

რადგანაც სული, მას მე მივანდე, –


რადგან სიცოცხლის გაგრძელება

არის სიკვდილი,

და დღის სინათლის –

ღამის წყვდიადი...

1988



ცაო ქართულო

ცაო ქართულო!

ქართველს ძალა შეგვწევს ქადილის:

ბუღა თურქის და შაჲ –

თამაზის – მსახვრალი

მოდგმა,

მორჩა! აშ სამტროდ, ვერ გადმოვა

შენს შვიდ

კარიბჭეს,

რადგან სიცოცხლე და სილამაზე

და უკვდავება შენ მოგვანიჭე.

1990



ნაოხევამუ1

სიჩუმეს ფეხი სადმე არ წაკრან,
როს მიმოდიან სულები მათი.
მწუხარს ენატრება ლოცვების
ხემსი.

ზარს აქ

არასდროს არისხებს მნათე,
მაგრამ ზარის ხმა ყოველთვის მესმის...

1959

1 ნაოხევამუ – ნაეპლესიარი (მეგრ.)



მზე პირს იბანს

მოგა აპრილი...

ცა – გაზაფხულის,

მხრებზე გადიყრის ცისარტყელას –
ფერად ნაწიავებს.


ავლენ დღეები ხეებზე და ფოთლებს
ამწვანებენ...

სიცილის ჩქერით

მზე პირს იბანს და...

წვიმას უსველდება წამწამები.

1966



ვოთოლთა ქორო

მოხუცი მამა,

მინდორს, ვით რვეულს,

კავით – გრძელ კალმით –

უღმერთოდ ჯღაბნის...

ჭიალუებად ასხია ნახნავს

აურაცხელი ყვავი და ქორი.

იქვე კი ტყეა...

დირიჟორი ნიავი გახლავთ,

სიმწვანეს გალობს ფოთოლთა ქორო...

1961

ეპლუსიაზი

მოწყვალედ მზირალს,
თავჩაქნეულს ძეზე
ადამის,
ჯვარცმულ მაცხოვარს სანთელს
ვუკმევდი...
იდგა სიჩუმე და გაოცება.
...თეთრ ტაძარს ჰგავდა
შენი გულ-მკერდი
და სავსე იყო მზერით “მლოცველთა”.

1975



Կոდան ցագմռմցցարո,
տյտրվցըցածարդնոլո,
ա, ուս լրջելու, րոցոր քցացս մռսյե,
մյ յո, շդաձնո՞մ մազալ օմ յծրայլս,
ռոմցլու մոյլոցիս

ա, օմ յոդյե...

Ծմյրտսաց ճա յացսաց ալար Շյցյերալց,
ռվմյենու –
այլըմու Ծցորտո ազոյօդյ.

1990



မြန်မာတော်လွှာ

ရွှေလှေ မိန္ဒ မြန်မာသုတေသန အဖွံ့အဖြဲ့၊

ဒါန ပြည်ထောင်စု ပြည်သူ့

ပြည်နယ် မာရီလီမီ

ရွှေလှေ မြန်မာတော်လွှာ မြန်မာနိုင်ငံ၊

ပြည်နယ် မြန်မာတော်လွှာ မြန်မာနိုင်ငံ၊

ရွှေလှေ မြန်မာတော်လွှာ မြန်မာနိုင်ငံ...

1976



მარადი პილით დაქაცცულები

ზაფხულში,
მწვანე ბალახის ღერით,
მუდამ რაღაცას მიგვანიშნებენ,
მარადი ძილით დაქანცულები,
ადრე წასული ჭაბუკები
და ქალწულები,
რომელთაც უდევთ თავსასოუმლად –
ქვის ბალიშები.

1979



ଭାରତ ଏକ ପ୍ରଦର୍ଶନ

დანამდვილებით მე გიცი ერთი
და მჯერა მტკიცედ,
რომ ქვეყნად ჩემი მფარგელი ღმერთი
დროა და სივრცე...

1992



ჩამავალი მზის ოქროს მძივებით,

დედოფალივით ისევ ირთვება –

ზღვისფერ ღრუბლებში –

ცა გაფოთლილი.

და მოვარდნილი ფიქრთა ზვირთები

მიმატივტივებს სადღაც...

ბოთლივით...

1967



მოლოდინი არის მარულის

აჰა,

მესამე ათასწლეულის
მისადგომებთან მესმის გრიალი,
ლაგამებს ხრავენ პოეტების თეთრი
რაშები
და მოლოდინი არის მარულის.

მე კი ზღვის კარად –
“კიბორჩხალას ვეთამაშები”,
უპოვარი და ხელმოცარული.

1992

ნატვრა

საღამოსა და დილას,
მაგ ამობურცულ მკერდის –
თეთრ და პაწია დილაკს –
შემახებინა თითი –
ძახილის ნიშნის დარი.
დამარეკინა შენი ვნების პირველი ზარი...

1956



და ნუ შეგაპრთობს მოხუცს სიბერე

შუაკერასთან, როგორც მოზვერი,
ცეცხლი კვლავ წევს და
შეშას იცოხნის...
და დააყარე ხიჭვი, ხვიბერი...
ზამთარია და ცივა, ბერდედავ!
და ნუ შეგაპრთობს მოხუცს სიბერე,
გაცი კი არა,
ღმერთიც ბერდება!

1966



ღრუბლები, როგორც მალემსრბოლები,
მიიჩქარიან სადღაც დასავლით
და მიჰყავთ მძევლად მთვარე –
მხევალი.

გრიგალმა ტალღა კლდეს მიახეთქა
და დაუმსხვრია მას ხერხემალი.

1986



ჩამოეჭვა შავი ფარდა

მტრობა,

ქვეყნად რასაც თესდა,

მერე, ბოლოს მასვე მკიდა.

შუაქართველოა, –

(ტომით მკვიდრთა).

ჩამოეშვა შავი ფარდა.

მმა მმას ცეცხლად წაეკიდა

და თბილისი “გარდაქარდა...”

1991



მისომ უდია აიტანოთ

უფლის ნებით შემწევს ძალა,

სიბრძნის ქვაზე –

აზრის ლესვის...

და ოუნდ იყოს კლდე პიტალო,


რწმენის ხნულში –

სიტყვის თესვის...

მიტომ უნდა აიტანოთ

ქედმაღლობა ჩემი ლექსის.

1992



გარინდებული ყურს უგდებს მიწა,
წყალში ჩავარდნილ –
მნათობთა შიშინს...
ნაპირთან იხდის თეთრ სამოსელს
ალუხის ბუში.
ქარს თმებს უბურდგლავს –
სიავის შიში,
ზღვას სიბრაზისგან პირს ადგას დუჟი.

1965



გამლილი ჭიბული

ვის დაუგარდა, არავინ იცის,
ათასი ვინმე მოგროვდა ირგვლივ
და უმზერს რუსი,
ფრანგი,
ფინელი.
თავდაღმა გდია ქუჩაში წიგნი,
ვით ფრთაგაშლილი მკვდარი ფრინველი.
მოსკოვი

1981



შიგედობა

მოხვალ?! –

არ იძვრის სიო იმედის,
არ ირჩევიან მწუხერის ფოთლები
(თუმც ქარიშხალი ზვირთებს მოდენის...).
ჩიტივით ვზივარ ტოტზე მოთმენის,
მალე გაწყდება ძაფი
ლოდინის...

1959



აქილევსი

ათასწლეულთა მიღმიდან,

კვლავ რომ მოგვესმის,

უკვდავების არის ძახილი:

— აქილევსი!...


ფარით-ქუსლამდე, —

მცირე სოფელში ვისაც დარჩა გმირის

სახელი,

ვიდრე იმ დიდში გაქუსლავდა...

1971



ზოქოვები

დაგტოვებ მიწას და პოეზიას
და ავმაღლდები, როგორც მესია...
გავყვები მნათთა უცხო დინებას...
მერე დრუბლები როცა დამფლავენ,
ამ ქვეყნად,
შენ ერთს გეცოდინება,
რომ მოვარე არის ჩემი საფლავი
და... შურიოთ გასკდნენ დედამიწაზე...

1992



ზმა მეციხოვნის

საუკუნიდან –

საუკუნემდე

ძახილი სადღაც გადაიხიდა,

მაგრამ სხივით მაინც გიპოვნის.

ათასწლეულთა –

ისმის იქიდან,

ის ყივილია დიდი მგოსნის და...

მეციხოვნის.

1961



ჩემი მასხეთ-ჯავახეთი

მაღალ ქლდეზე ციხე თმოგვის –

(მესხეთ-ჯავახეთის ძალა).

დავითივით დგას ლომდარი.

და მზეც ოქროს იშლის დალალს,

თამარივით

ვარძიიდან გადმომდგარი.

1967



შარსულის გახსენება

ქუჩის ბოლოში ვდგავარ, ვუცქერი
და მიფუჭდება მგოსანს გუნება:
(თუმც გახსენება წარსულის არ მსურს)
ქარი ალვას კვლავ ებდლარძუნება,
ისე,
ვით ქოსა საჭურისი,
ტყვე ქართველ ასულს.

1987



სიცხვე მპათათვის

მიწას კორტნიდა სიცხე მპათათვის

და მზედ

ეკიდა სარს პომიდორი.

ბალჩა-ბალებში ხახამშრალი იდგა

წყურვილი.

და იქვე ახლოს ჩანდა მინდორი –

ფშაველას დამსკდარ ხელისგულივით.

1964



ას მთები მიწის ძჰპვებია

ქარებს მწყემსივით იალაღებზე
ღრუბლების ფარა უძოვებიათ...
ეს მთები –

მიწის ძუძუებია,
რომელთაც მზე და მდინარეები
წოვენ და წოვენ...
როგორც ბალდები.

1981



ზენისწვერზე დგება ალი

ებჯინება სანთელს მხრებზე,
ფეხისწვერზე დგება ალი,
უფალი რომ დაინახოს.
და თუ ძმა ხარ, მითხარ ერთი.

რაღა კუთხრა იმ კაცუნებს,
ლოცვით დადლილთ მამა ლმერთი
ელვის შოლტს რომ უტკაცუნებს...

1968



ମହାଦେବ ପରିଚୟ

თაგზე ნამუსის ქუდი ახურავს,
მამა-პაპათა აცვია ხამლი,
და ჩემი სიტყვა ამაყია

და თაგმომწონევ,
როგორც ცისკრისას ყივილი მამლის,
ციხის გოდოლზე დანთებული,
როგორც კოცონი.

1992



ადარ ჩერდება...

შეუსვენებლივ

მიპქრის... მიმაფრენს ჟამი უბელო

და ხუთჯერ ათი წელიწადი

მეც შემისრულდა

და, ვით წვიმის წვეთს შავი ღრუბელი,

ვიცი, სიკვდილი ჩუმად დამლევს და...

შემისრუტავს...

1991



უულურჯესი ქართული მთების

შემოვლებული პქონდა არშია

ცას...

და მზის კეპი თავზე ეხურა

და... შლიდა მთვარის თეთრ ნაფეხურებს...

1967



შენ რომ არ იყო

მ. ე. გ.-ს

მინდა ისეთი ხოტბა შეგასხა,
ბესიკ გაბაშვილს

რომ აქვს ანაზე...

რა მამუოფებდა ქვეყნად მე მშვიდად,
ალბათ სიკვდილზე ფიქრი შემშლიდა,
შენ რომ არ იყო ამქვეყანაზე.

2009



პარნავალი

ამ წუთისოფლის ლამაზ ზეიმზე
მოველ...

მელოდა რადგან მრავალი.
ჩემი დღეები მტვრიან გზაზე კვლავ
მიირწევა.

მორჩა...

გათავდა
წუთისოფლის ეს კარნავალი,
აწი იმ ქვეყნად ველი მიწვევას.

1991



ხსოვნის სიმბოლო

დღის თეთრ კალთიდან გადმოფერთხილი
დამე –

დამწვარი არის მზის ბოლი,
ცას რომ ედება გერცხლის –

ფენებად.

წინაპრის ხსოვნის არის სიმბოლო,
მიწის ხსოვნიდან –

ყვავილების ამოთუნება.

1962



გრიგალი თვალს რომ მიეფარება,
ზღვა დამშვიდდება,
დაანებებს თავს უხმოდ ბორგვას
და სანაპიროს ხვაშიადს ეტყვის.
სხივებს ძაფივით გადაართავს
მწუხერი მზის გორგალს,
მერე სიჩუმე ჩამოივლის –
გარსკვლავთა ეტლით.

1962



ზესპნელიდან ჩამორეპილთ

მივალთ...

მაგრამ იქით წასვლის,
გვზარავს წამი შიშისმგვრელი.

დღე კი დამეს უხმოდ ეკვრის.
და ქვესკნელი უხმოდ გველის –
ზესკნელიდან ჩამორეპილთ.

1964



შალვა ჯონა – 93

კოჭებამდე ძაძებიანს
და ყორნისფერ თავშალიანს
გხედავ: სხვის მკვდარს რომ დასტირი,
ვით შენიანს.

დედა! –

შენი თვალების ზღვა დამშრალია,
დასაღვრელი ცრემლი აღარ შერჩენია.

1993



აქ,

ყოფნაში მოსვლის დღიდან,

არყოფნა კი გვდევს ფარული...

და ერთმანეთს კვლავ ვეცლებით –

სიძულვილით...

სიყვარულით,

უმეცრებით და მეცრებით.

2000



ორაირი ქარი

უძვირფასესი, ვით საგანძურო,
ჩემი დღეები,
რაც რომ მებადნენ,
აქ ყოფნის გრდემლზე ბევრჯერ მოვპირე.
და მაინც უღვთოდ მატანს
ძვლებამდე
სიკვდილ-სიცოცხლის ქარი –
ორაირი.


2002



* * *

ბებერი უამი შენს სიჭარმაგეს,
როცა მთვარის დიდ
წერტილს დაუსვამს,
ჯოხის კაკუნით მოვა სიბერე,
მოგეფერება,
ჭაღარაზე ხელს გადაგისვამს
და მერე სიკვდილს,
ვით სიცოცხლეს, შენ შეიფერებ.

1998



საწყალი მთვარე

უყვარდა...

ქედს არ იხრიდა,
კლავდა მზის ჟინი.
ახლა ვარსკვლავთა გისოსებიან
ლამის ციხიდან,
საწყალი მთვარე გვიმზერს,
როგორც სიკვდილმისჯილი.

2001



ტალახიანი და გაცვეთილი –

ჩემს სოფელს შუკის

აცვია ხამლი

და გზას გასცემის ბოკროდ მიმავალს.

გამოენისას ყივილი მამლის

ჩამოსხის მთვარეს

და სადღაც ცის ტევრში მიმალავს.

1997



06

Յոյժոօս ქըշրմօս մռմ՞պացելու,
Ծյուլս դա Ծյուլս,
Ճյր մակարօս.

Տանճատան լցոնճյօթա.
Մայ յ՛մամ եյլո ար դարօս,
Մտա՞մինճօս զնոտ վաղունճյօթա.

1959



სიკვდილი კი მაღალ მგოსანს,
განა ისე შეუქია,
რომ მისი ხმა უკეთ ესმის.
არაფერი შეუქმნია
ღმერთს სიკვდილზე უკეთესი.

1969



მინაჭერი “ვისრამიანზე”

წარსულიდან ქარს რომ მოაქვს –
სიყვარულის ნისლიანი
ხმაა,
ნეტავ ვისი?!
ალბათ რამინისი არი,
და მეორე – ვისის.

1962



მზის შვილი ხარ...

მინავლული,

გიხმობს მშობლიური კერა,

რადგან გაჩნდი და მოხვედი,

ან შედგები ცისქვეშ ბერად,

ან ფეხისკენ ძველ კოლხეთის,

კვლავ ბევრს მიუბრუნებ

მზერას.

2001



ელგამ გაგვიღიმა უეცრად
და მერე დასავლით მოკურცხლა,
შეერთო ბაღებს და
ბაღნარებს.

და ჩემს ღრმად მოხუც კოლხურ ცას –
ვარსკვლავთა ცრემლი
მოღვარდვარებს.

2000



გურჯისტანი

წამების ძელს ჯვარგაკრული,
 ათასწლებით დალურსმული
 ვითარც ჩვენი მაცხოვარის –
 ქრისტეს ლურჯი ტანი.
 ისე მოჩანს საქართველო –
 ჩემი გურჯისტანი¹.

1959

1 სარსედები საქართველოს გურჯისტანს – მგლების ქვეყანას უწოდებდნენ.



ପ୍ରକାଶନି

კოლხთა ნაგებ ქვის კედლებს –
სრბოლა ათასწლეულთა,
განა აღარ დაფლიდა!
მიტომაა დაისის
უამს, დიდ პირამიდების
ცას მიბჯენილ თაღიდან,
კვნესის ხმა რომ გაისმის.

1971



მზის ჩასვლას არ დაელოდა მწუხარი,
მოიხურა სიმყუდროვის კარი,
თუმც სინათლის აღარ შინებია.
ეს ურიცხვი ვარსკვლავები –
მთვარის
შვილები და შვილიშვილებია.

1962



სიმყუდროვეში გადიქურუხა
მებმა და უცებ
დაბინდდა,
სველი თითები – გამოჩნდა ელვის.
თითქოს-და ღრუბლის
ფერად საბნიდან –
ნამტირალევმა ანგელოზმა
გამოყო ხელი.

1964



გეოგრაფია

გარინდება ანგელოზთა...
შიში მოგალობე დასთა...
სინას მთაზე ჩაუმჯრალი
რწმენის ფაცხა.
და ამბორი იუდას, და
ვნების კვირა,
პარასკევი,
უფლის ჯვარცმა.

1966



ჭექა-ჭუხილით ნაშობებს
და ელვით დალალდაწნულებს,
შორი გზით ციდან მოსულებს –
თეთრი ღრუბლების ქალწულებს,
მოვა და პოსეიდონი,
ერთიან დააორსულებს.

1986



კაცის ცხოვრება –
ყოფნა-არყოფნის
ორი გაკვეთილი.
სამოთხის კარი მოკვდავთათვის
მუდამ დაკეტილი.
დრო კი დღე-დამედ,
ორად გაკვნეტილი.


1989



მზე ადმოხდა დილას ოხვრად,
ჩნდა ღრუბელი ეიფელად,
როცა წვიმით სველმა სქვიამ¹,
ხმა უეცრად დაიბოხა
და კაცობაც შეიფერა.

1961

1 სქვია – დელის სახელია სამეგრელოში



ჰელიოსის ეტლს მოელის
 აქციუს და აქხილინე.
 უფალი კი მის წყალობას
 ისევ ისე გაიმეტებს
 და ვით ადრე, მახილვინებს –
 ზღაპრულ კოლხეთს აიეტის.

1964



პონტოს პირას სიღარიბე,
ვითარცა თხა, აქაც ება,
მაინც იმედს თესდა ლაზი:
და ელოდა დაქალებას –
ცისკენ მაცქერალი ვაზის
და ვენახის დაკაცებას.

1998



მუკაჯირობა

მომხდეურთან აღარ იმცირებენ
თავს და...

ნაწილებზე იკიდებენ
და ზღვაში ვარდებიან ის ცირები,
რომლებიც გადაურჩნენ სიკვდილს.
წარსულის ჭუჭრუტანაში
გიცქირები:
– ჩემს კოდხეთს ფერი ადევს
მიტკლის.

1964



უკვე მესამედ ყივის მამალი,
სადღაც მწუხარე ვარსკვლავების
ისმის არია.

ღრუბლებმა რწმენის ცა –
გადამალეს.

ქრისტე – მოვარეა,
რომელიც მიჰყავთ იუდეველთ
ჯვარზე საცმელად.

1996



* * *

ლაქაშებიან სამოსს იხდიან
და წყლიდან ჩუმად ამოდიან,

როგორც ალები

და აღარც რიდი, არც მოკრძალება:
მამრებს ახრჩობენ ჩუმი ალერსით,
თვალები უგავთ მახვილს ალერსილ
და ისმის კვნექსა პონტოს პირას

ამორძალების.

1961



მთვარის ნიში

სულს სურს გაფრენა ციხებენ,
თავისას აღარ იშლის,
არ აკრთობს ღრუბლის სისქე,
არც ხმა ვარსკვლავთა ქვიშის.
რადგანაც ელის შიშით –
მთვარის ქათქათა ნიში.

1967



დელვის ფოკუსში ამწყვდევდა
მიხეილ თათარაშვილი,
ზვირთებს, ვით ლომის ბოკვერებს
ხმელზე ამოსვლა ეწადათ.
გრიგალი ფაფარაშლილი –
ხდვის ქალოს უღვთოდ ლეჭავდა.

1969



დედამიწა ვეღარ ირჩენს –
ვარსკვლავების ტოლ იარებს,
სიცოცხლისთვის უწევთ ომი:
ზღვებს –
ქვესკნელში მწოლიარეთ,
ხეებს –
დაღლილთ ფეხზე დგომით.

1978



შენი პირადობის წარსული

შენ მზის შვილი ხარ და მზერა,
 ცისკენ მიტომ გაგირბის
 და პელიოსზე ილოცე...
 შენში ბინადრობს წარსული –
 ფაზისისა და ნილოსის.
 და შენ, შენს ტროას აშენებ,
 ვითარც პელაზგი ილოსი.¹
 შენში ბობოქრობს ზვირთები –
 პონტოს და მარმარილოსი.


1967

1 – ილოსი – მერმეროსის ვაჟი, კოლხ მედვას
 შვილიშვილი, ილონის (ტროას) დამაარსებელი



ვით სოფლის ბიჭი სალტეს რკინისას,
დღე –
დასავლეთით მზეს მიაგორებს,
ცას კი ღიმილი პირზე აშრება:
რადგან კოლხეთის უსაშველო
 წარსულს აგონებს,
ზღვის ლურჯ ნაპირზე –
ზვირთოა ურდოს ამოლაშქრება.

1990



ଓଲିଏବୁ...

სიკვდილის კლანჭებს გამოქვეული,
ვით ვეფხვი შამბნარს,
წლებს მიარბევდი.
და შენც ისე, ვით მიქელანჯელომ,
რადგან პარნასზე ფიქრი
გაბედე,

1963



იოანე ნათლისმცხამლი

როს გაიგეს, იტირეს,
ხმებმა უფლის მორჩილთა,
ხმალი ცრემლში ალესეს.
და... ცა მიატივტივებს
მთვარეს არა,
მოჭრილ თავს –
ღმერთკაც იოანესი.

1959



დარჩელი

ცის სუდარით შემოსილი,
ალერსში ხვევს მწუხრი

დარჩელს.

მთები ტანზე ნათელს ივლებს.

იღიმის და დამე აჩენს –
ვარსკვლავების ოქროს კბილებს.

1966



ჯვარზე გაკრული ანძების
და პოლიმფსესტზე აფრების,
ზვირთა მხედრული ანბანით –
წიგიღ-კიგიღის ძაფებით
ზღვას –
თოლიები ლამბავენ.

1958



გაბარჯლული ცეცხლის რქებით
ისე,

როგორც ხარი ლაპა,
ქუხილი კვლავ ქუხილს მისდეგს.

ცა —

დაწინწყლულ დამის საბანს,
ელვის ძაფით აგვირისტებს.

1982



კაფე-ბარი...

წუხს საფერფლე,

ცეცხლი უკიდია ნაწევ

სიგარეტებს,

დამწვარს ორგზის,

იქვე სიფრიფანა ბოლი,

ცისქენ ლამაზ ტანს მიარწევს,

ისე, როგორც ანგელოზი.

1961



სოფლად

პაწაწინა ის ბილიკი,
ბაგშვილისას აქ რომ ება,
ალბათ აღმართსაც აივლიდა.
მალე მთვარე გადმოდგება –
ხსოვნის ცის ლურჯ
აივნიდან.

1977



ელვით პირგახოკილები –
ჩამოდიოდნენ ღრუბლები,
ზღვა თაგს სალ კლდეებს
ახლიდა.

წინაპრის ხმები ისმოდა –
ვარსკვლავთა სრა-სასახლიდან.

1979



ალექს

პოლს-ტარს-დიარჩები

დიდ და შორეულ წარსულში –
უდგათ ვარსკვლავთა ქოხები
და მომავალზე ფიქრებით –
ჯავრიან გულს იოხებენ.
მტერთან ბრძოლებით დაღლილი –
პოლხ-ტარხ-დიარხები.

1961



ცას და მიწას შეა –
მზეთა სხივები,
გაბმული არის ოქროს სიმებად
და ზედ არყოფნის უკრავს არიებს.
მოკვდავთა ყოფნა მოჰვავს წამიერ,
ხისქვეშ დგომას და გადაწვიმებას.

1997



გითარცა ღევის პოზგიდან

ზღვისკარად უცებ შებინდდა,
ცამ შთანთქა მზის ათინათი.
ვარსკვლავთა მდვიმებიდან,
ვითარცა დევის კოშკიდან –
შუქი გამოკრთა –
სინათლის.

1960



თათუ-ნეფერტიტი

ისტორიის უდრანში

ისევ დავეხეტები,

არ ვეშვები მე კიდევ,

თუმც არ ძალმიძს მე მეტი:

ვეძებ არა ეგვიპტელს,

კოლხს,

ჩემს თათუ-ნეფერტიტს.¹

1966

1 – თათუ-ნეფერტიტი – ეგვიპტის ფარაონი



ბამოუწერეს ჭიშამბრი

დასაბამიდან ეს საწუთრო –
სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილია,
მზის ჩასვლაც არის მეტამული.
“მამულო, საყვარელო”-სთვის,
დიდ ილიას,
გამოუწერეს წიწამური.

1977



ანგარე

უფლის ხილვად ისწრაფვის –

ბაბილონის გოდოლი –

(რწმენის ციკი სამარე).

და შიში აქანავებს –

არც სპარს და არც აქანელს,

კოლხ ხელმწიფე ანმარეს.

1997



გარსპოლავთა ოქტომბერის დარბაზებს

აქ, —

ოხრად ნაშოვნ-ნაარმალს,

იქ, —

რომ ვერაგზით წაიღებს,

მავანს აი, რა აბრაზებს.

შენ კი, მშობელი ცა გიღებს —

გარსპოლავთა ციხე-დარბაზებს.

2004



საუკუნეს მიღწეული,
პვლავ მიყვება მე ოტია
ჩემი დიდი პაპის-პაპა,
რომ წარლენამდე შავ ზღვას ერქვა
მეოტია,
წარდგნის შემდეგ ხმობდნენ ცალპად.¹

1966

1 – ცალპა (ცალფა – მეგრ) – ერთგასასვლელიანი ზღვა



ნისლის მკრთალ საფეხურებით,
ცისკენ იძროდნენ კედრები,
სადაც მთოვარე ჰყვაოდა.
ისმოდა მოთქმა-ვედრება,
ვარსკვლავთა —
სასაფლაოდან.

1969



პოლნები

ჰელიოსის ნაშიერი კოლხები,
არვის უწყის, სად გაჩნდნენ და
ან როდის.

ცად ვინ უხმობს ამ ზღვებსა და
ან ამ მთებს.

მზე რომ მზე არის, –
ო, ისიც, ძველ კოლხეთიდან ამოდის,
მთვარეც იმ ზღაპრული
კოლხეთიდან ანათებს.

1959



2005

გაჩენილს ზღვისკარად,
უფალმა მგოსნობა არგუნა,
მისი ხმა მოჰვავდა მეხისას.
და ახლა მის კართან დგას კოლხი
აგუნა²
და ელოდება ახალ წლის ფეხის ხმას.

2005

1 – პრეისტორიულ კოლხეთს – “აი” ერქვა
2 – აგუნა – ლინის ღმერთი (დიონისების ორგული)



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
*** არ ჩანხარ...	25
დამე იცინის	26
*** უნდო ჟამისთვის რომ ყოფილიყო	27
ამინდის უეცარი შეცვლა ზღვაზე.....	28
ჩემს წიგნში ნახავთ	29
15 მაისი, 1992 წელი	30
ლოდი არაგვზე	31
ანდერძისმაგვარი	32
ო, უხილავო	33
ზვირთების ჯოგი	34
ისევ ირწევა	35
ღვთიური პიმინი	36
*** წინ გვედობება დამის ზეგანი.....	37
*** გალუმპულია ხე	38
*** ბობოქრობს სიძულვილის ზღვა.....	39
ორი ტალღა	40
*** დუღს და დუღს კუპრი დედამიწის ვეება ქვაბში	41
უფალო, შეგვიწყალე	42
*** შავი ღრუბელი შავი ხელებით	43
ტარო იღიმის	44

როგორც ოლოლი	45
*** არც თავი უჩანს და აღარც ბოლო	46
*** ვარდივით ჰყვავი და იფურჩქები	47
სხვა არაფერი მინდა	48
*** წვიმა იგალობეს ზღვისკარად ღრუბლებმა	49
*** რომ გაჲყოლოდნენ მარადისობის “ექსპრესს”	50
*** როდესაც ტალღა აფრინდება, როგორც არწივი	51
*** რომ არ ჩაუქრეს ცეცხლი ციური	52
მას გული არა აქვს	53
პირველი მსხვერპლი	54
მთვარის პეგასი	55
*** უამს შარბათივით	56
ჩემი სული	57
ბედაურის თავის ქალა	58
*** კანკალებს დამე	59
ოდა მეგრული	60
ცისკარი მოვა	61
მე დავიბადე	62
შეგონება	63
ბარათაშვილის აღმართი	64

*** ხელდაპრეფილი დგანან ხეები	65
სელეგენიდები	66
*** უხმო სერო	67
გაოენდა სივრცე	68
თამარ	69
კორიდა	70
შემოდგომა სვანეთში	71
დიდი პაქმანი	72
ბახტრიონი	73
მთანი მაღალნი	74
***...და მზეს ჩამავალს	75
*** პაპა მეტყოდა ვარსკვლავომრიცხველი	76
*** ჩემში უფალი ზის და მკარნახობს.....	77
*** დაუკითხავად, როგორც მოყვასი.....	78
ცისარტყელას ავგაროზი	79
საქართველოს ისტორია	80
იმედი	81
*** გავყურებ დიდგორს	82
*** ჩვენ ერთმანეთზე ვფიქრობთ	83
პვირიკე	84
ობელისკი	85
*** იმ ოქრო ხანის	86
მეტეთან	87

Յօ და ՚Եցա	88
*** დგას ՚Եցակարաდ და თქմულებებს აშრიალებს	89
დღე და დამე	90
*** ნაკადულები სიცილ-კისკისში	91
ფიქრი და აზრი	92
*** ყოველ გაზაფხულზე ჰყვავიან ბაღები..	93
ო, როგორ სცივა	94
*** მეჩეთი არა	95
ყველაფერი დარჩა უცვლელი	96
*** თეთრით მოსილი, როგორც გრანელი..	97
*** მიმწუხრის პირზე ჩამოქროლილი	98
ფიქრით დადლილები	99
არ ვიცი, რატომ	100
მიხდება კოლხური პავა	101
ოჯალეში	102
*** სავსე ათასი ფერით და პანგით	103
მანე და მონე	104
*** სდუმს ქარიშხალი	105
*** ცის დარბაზებში სძინავთ ვარსკვლავებს	106
ქეთევან დედოფალი	107
*** პიტალო კლდეზე	108

ნოსტალგია	109
ყორანი.....	110
ღრუბელი	111
სამიზნე	112
*** აღმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი	113
*** ადრე თუ გვიან	114
გაზაფხულის წვიმა	115
*** დამფრთხალ ქორივით	116
*** ცეცხლის ალფაში გამომწყვდეულებს... ასკილის კუნძი	117
მორჩილება	118
მიწა	119
*** ჩემი სიცოცხლის ლაფაროში	120
*** დღე	121
*** დიოსკურია!	122
*** შენს დროშისფერს	123
*** მიწის ბელტების დგას ღრიანცელი... შეხედეთ ზეცას	124
უსახელო პოეტი	125
*** ყოვლისმხილველი	126
*** დაე, სადმე ავიმაღლო მიწა	127
ვითარცა ციცინათელამ	128
*** დაე, სადმე ავიმაღლო მიწა	129
ვითარცა ციცინათელამ	130

ზღვა და ქარები	131
მწუხარი რომანსი	132
სინათლის მიღმა	133
ქვათახევი	134
*** თავს დასტრიალებს მარადიულს	135
ვითარც ფრინველი	136
დედას	137
ჩემი დღეები	138
*** გაიღვიძებენ უცებ ქარები	139
*** ამაღლებული, როგორც მესია	140
*** ეს მერამდენე საუკუნეა	141
*** სანაპიროზე წევს ივლისი	142
ისევ თენდება	143
*** თოვს და... კვამლივით ცისკენ მიიწევს	144
*** ციცქა ტალღები, ვით ვერიები	145
ვეჯინში	146
*** მზე ყივის...	147
ბეჭდრები ლაპარაკობენ და	148
*** მზის ალერსსა და სიმხურვალეს	149
*** წყალსა და სისხლს სწოვენ	150
ჯარისკაცები	151
რომ ცხოვრებამ არ შეგვაშინოს	152
აგვისტო, ყანა, მზე	153

მიყვარს	154
ეს ყველაფერი	155
*** ზღვის გულდამწვარი ჭირის-უფლები ...	156
*** ოქროს ცრემლებით	157
ცაო ქართულო	158
ნაოხვამუ	159
მზე პირს იბანს	160
ფოთოლთა ქორო	161
ეპლესიაში	162
*** ციდან გადმომდგარი	163
წვეთავს მირონი	164
მარადი ძილით დაქანცულები	165
დრო და სივრცე	166
*** ჩამავალი მზის ოქროს მძივებით.....	167
მოლოდინი არის მარულის	168
ნატვრა	169
და ნუ შეგაპრობს მოხუცს სიბერე	170
*** ლრუბლები, როგორც მალე- მსრბოლები	171
ჩამოეშვა შავი ფარდა	172
მიტომ უნდა აიტანოთ	173
*** გარინდებული ყურს უგდებს მიწა	174
გაშლილი წიგნი	175

უიმედობა	176
აქილევსი	177
ფიქრები	178
ხმა მეციხოვნის	179
ჩემი მესხეთ-ჯავახეთი	180
წარსულის გახსენება	181
სიცხე მკათათვის	182
ეს მოები მიწის ძუძუებია	183
ფეხისწვერზე დგება ალი	184
ჩემი სიტყვა	185
*** აღარ ჩერდება...	186
*** უულურჯესი ქართული მოების.....	187
შენ რომ არ იყო	188
კარნავალი	189
ხსოვნის სიმბოლო	190
*** გრიგალი თვალს რომ მიეფარება.....	191
ზესკნელიდან ჩამორეკილთ	192
წალენჯიხა – 93	193
*** აქ.....	194
ორპირი ქარი	195
*** ბებერი უამი შენს სიჭარმაგეს.....	196
საწყალი მთვარე	197
*** ტალახიანი და გაცემილი	198

*** პოეზიის ქვევრშია მომწყვდეული	199
*** სიკვდილი კი მაღალ მგოსანს	200
მინაწერი “ვისრამიანზე”	201
*** მზის შვილი ხარ...	202
*** ელვამ გაგვიღიმა უეცრად	203
გურჯისტანი	204
პირამიდები	205
*** მზის ჩასვლას არ დაელოდა მწუხარი ..	206
*** სიმყუდროვეში გადიქურუხა	207
გნების კვირა	208
*** ჭექა-ქუხილით ნაშობებს	209
*** კაცის ცხოვრება	210
*** მზე აღმოხდა დილას ოხვრად	211
*** პელიოსის ეტლს მოელის	212
*** პონტოს პირას სიღარიბე	213
მუჰაჯირობა	214
*** უკვე მესამედ ყივის მამალი	215
*** ლაქაშებიან სამოსს იხდიან	216
მთვარის ნიში	217
*** დელვის ფოკუსში ამწყვდევდა	218
*** დედამიწა ვედარ ირჩენს	219
შენში ბინადრობს წარსული	220
*** ვოთ სოფლის ბიჭი სალტეს რკინისას	221

წლები...	222
იოანე ნათლისმცემელი	223
დარჩელში	224
*** ჯვარზე გაკრული ანძების	225
*** გაბარჯდული ცეცხლის რქებით	226
*** კაფე-ბარი...	227
სოფლად	228
*** ელვით პირგახოკილები	229
კოლხ-ტაოხ-დიაოხები	230
*** ცას და მიწას შეა	231
ვითარცა დევის კოშკიდან	232
თათუ-ნეფერტიტი	233
გამოუწერეს წიწამური	234
ანმარე	235
ვარსკვლავთა ოქროს დარბაზებს	236
*** საუკუნეს მიღწეული	237
*** ნისლის მკრთალ საფეხურებით	238
კოლხები	239
2005	240

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 61

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 61

- | | |
|---------------------|----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ციხი შალიჩაგა |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამიშვილი |
| კორექტორი | – ლილე დოლგაძე |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო შადაშვილება |
| გამომცემელი | – ვაჟა დოლგაძე (უმცობესი) |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „ვაჟალსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com